MES 4 23 0000023928

13/01/2023

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს
სხდომის ოქმი

ქ. თბილისი
სხდომის თარიღი: 23. 12. 2022
სხდომის დაწყების დრო: 14:00 სთ
სხდომის დასრულების დრო: 20:00 სთ
საბჭოს თავმჯდომარე: გოდერძი ბუჩაშვილი
საბჭოს მდივანი: დავით ტეფნაძე

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების" (შემდეგში-აკრედიტაციის დებულება) 33-ე მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს სხდომა ჩატარდა დისტანციურად, კომუნიკაციის თანამედროვე ელექტრონული საშუალებების, პროგრამა - Zoom-ის გამოყენებით.
საბჭოს სხდომაში მონაწილე ყველა პირმა თანხმობა განაცხადა, რომ დისტანციური ფორმით მიეღო მონაწილეობა საბჭოს მუშაობის პროცესში.
საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის (შემდგომში საბჭო) სხდომაზე დამსწრეწ ევრები:

გოდერძი ბუჩაშვილი - შპს "საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი სეუ-ის" ადმინისტრაციული მიმართულებით ვიცე-რექტორი - საბჭოს თავმჯდომარე;
ერეკლე ასტახიშვილი - შპს "თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტის" პროფესორი, სსიპ - შოთა რუსთაველის სამეცნიერო ფონდის გენერალური დირექტორის მოადგილე;
ირინა გველესიანი - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი;
ხათუნა თოდაძე - სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ვიცე-რექტორი;
მაკა კაჭარავა - სსიპ - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, ასოცირებული პროფესორი;
ირინა ლობჟანიძე - სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი;
ლევან მოსახლიშვილი - სს "საქართველოს ენერგეტიკის განვითარების ფონდის" დირექტორის მოადგილე იურიდიულ საკითხებში
თეა მჭედლური - სსიპ - იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესოტი;
ეკატერინე ნაცვლიშვილი - შპს "ევროპის უნივერსიტეტის" ასოცირებული პროფესორი;
თამარ სირაძე - სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის მოადგილე სასწავლო დარგში;
დავით ტეფნაძე - ა(ა)იპ - საქართველოს სტუდენტური ორგანიზაციების ასოციაციის ხარისხის უზრუნველყოფის დეპარტამენტის ხელმძღვანელი, შპს საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტის დოქტორანტი (საბჭოს მდივანი);

ეკატერინე შაკიაშვილი - სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის საინჟინრო ეკონომიკის, მედიატექნოლოგიებისა და სოციალური მეცნიერებების ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, პროფესორი;
დავით ჩოჩიშვილი - სსიპ - გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი;
ნინო ჭალაგანიძე - შპს "კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის" მულტიმედია ცენტრის ხელმძღანელი, სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი;
გურანდა ჭელიძე - შპს "კავკასიის უნივერსიტეტის: პროფესორი.

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) წარმომადგენლები

N	სახელი, გვარი	სტატუსი
1	ეთევან ინანაშვილი	უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის მოადგილე
2	ლალი ოდიშვილი	უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კოორდინატორი
3	ინო ალავიძე	უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მთავარი სპეციალისტი
4	ნინო სარჯველაძე	უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი
5	ედვი ნსირბილაძე	უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის სპეციალისტი

საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენლები

N	სახელი, გვარი	საგანმანათლებლო დაწესებულების დასახელება	სტატუსი	საკითხი
1	თეიმურაზ ქორიძე		რექტორი	I
2	თამარ ტუფინაშვილი		ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, პროფესორი	I
3	ნინო მეგრელიშვილი		სადოქტორო პროგრამის ხელმძღვანელი, პროფესორი	I
4				I

	იამზე თაბორიძე	**შპს საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტი**	სამეცნიერო კვლევებისა და უწყვეტი განათლების ცენტრის ხელმძღვანელი, პროფესორი	
5	დავით მახვილაძე		სტუ-ის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი	**II-III**
6	მეუფე ანანია ჯაფარიძე		სტუ-ის თეოლოგიის სასწავლო-სამეცნიერო კვლევითი ცენტრის ხელმძღვანელი, მიტროპოლიტი, პროფესორი	**II-III**
7	ოთარ გელაშვილი		სტუ-ის სატრანსპორტო სისტემებისა და მექანიკის ინჟინერიის ფაკულტეტის დეკანი	**II-III**
8	ივანე ჯაგოდნიშვილი	**სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი**	სტუ-ის საინჟინრო ეკონომიკის, მედიატექნოლოგიებისა და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანი	**II-III**
9	ნათია ბუთხუზი		სტუ-ის სატრანსპორტო სისტემებისა და მექანიკის ინჟინერიის ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი	**II-III**
10	ნია ნათბილაძე		სტუ-ის სამრეწველო ინჟინერიისა და ტექნოლოგიის დეპარტამენტის უფროსი.	**II-III**
11	გივი გოლეთიანი		„საკვები პროდუქტების გადამუშავების და სამაცივრო ტექნოლოგიის“ ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი	**II-III**
12	ლევან მათეშვილი		„თეოლოგიის-საქართველოს ეკლესიის ისტორიის“ დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი	**II-III**
13	თეოდორე გიგნაძე		დეკანოზი, ასოცირებული პროფესორი	**II-III**
14	ზურაბ ლაზარაშვილი		პროფესორი	**II-III**
15	ვლადიმერ ღლონტი		პროფესორი, უნივერსიტეტის ხარისხის	**IV**

			უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი	
16	ივდით დიასამიძე		ასოც. პროფესორი, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი	**IV**
17	ლალი ზაქარაძე	**სსიპ- ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი**	პროფესორი, პროგრამის ხელმძღვანელი	**IV**
18	ვარდო ბერიძე		ასოც. პროფესორი, პროგრამის ხელმძღვანელი	**IV**
19	ივდით დიასამიძე		ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი	**IV**
20	ნანა გულუა	**სსიპ - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი**	პროფესორი, პროგრამის ხელმძღვანელი	**V**
21	ინგა გაბისონია		ასოცირებული პროფესორი	**V**
22	რომეო გალდავა		ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი	**V**

აკრედიტაციის ექსპერტები

N	**სახელი, გვარი**	**ინფორმაცია ელექტრონული საშუალებით მონაწილეობის შესახებ**	**საკითხი**
1	დავით ჯიქია	(ჩაერთო „ზუმით“)	I
2	ირინე ფხაკაძე	(ჩაერთო „ზუმით“)	I
3	პიტერ ჯონკერსი	(ჩაერთო „ზუმით“)	II
4	ცოტნე ჩხეიძე	(ჩაერთო „ზუმით“)	II
5	მარიამ მაჭავარიანი	(ჩაერთო „ზუმით“)	II
6	ია ნაცვლიშვილი	(ჩაერთო „ზუმით“)	II
7	თამარ სანიკიძე	(ჩაერთო „ზუმით“)	III
8	მანანა კევლიშვილი	(ჩაერთო „ზუმით“)	III
9	თინათინ გაბრიჩიძე	(ჩაერთო „ზუმით“)	III
10	მარიამ გორგოძე	(ჩაერთო „ზუმით“)	III
11	მაკა ლაშხია	(ჩაერთო „ზუმით“)	IV
12	მირიან ებანოიძე	(ჩაერთო „ზუმით“)	IV
13	ქრისტინე ჩიხლაძე	(ჩაერთო „ზუმით“)	IV
14	მარიამ მაჭავარიანი	(ჩაერთო „ზუმით“)	IV
15	მაქსიმ იავიჩი	(ჩაერთო „ზუმით“)	V
16	ნანი არაბული	(ჩაერთო „ზუმით“)	V

17	გიგა ხოსიტაშვილი	(ჩაერთო „ზუმით“)	V
18	დავით კაკიაშვილი	(ჩაერთო „ზუმით“)	V

აკრედიტაციის დებულების 27^2-ე მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, სხდომას უხელმძღვანელა საბჭოს თავმჯდომარემ გოდერძი ბუჩაშვილმა.
საბჭოს თავმჯდომარემ შეამოწმა სხდომაზე დამსწრე საბჭოს წევრთა რაოდენობა და დაადგინა, რომ აკრედიტაციის დებულების 27^2-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, სხდომა უფლებამოსილია, რადგან მას ესწრება საბჭოს წევრების სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი. თავჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა აკრედიტაციის დებულების 27^5-ე მუხლის მე-4 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის მიხედვითაც, საბჭოს წევრი არ არის უფლებამოსილი, თავი შეიკავოს ხმის მიცემისგან.

საბჭოს სხდომა დაიწყო: 14:00 საათზე.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო დღისწესრიგის პროექტი:
1. შპს საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტის ,,მედიცინის" სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის არაგეგმიური მონიტორინგის შედეგების გ ა ნ ხ ი ლ ვ ა ;
2. სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის „თეოლოგია - საქართველოს ეკლესიის ისტორია“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
3. სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის "საკვები პროდუქტების გადამუშავებისა და სამაცივრო ტექნოლოგიის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის ს ა კ ი თ ხ ი ს გ ა ნ ხ ი ლ ვ ა ;
4. სსიპ- ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ,, ფილოსოფიის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
5. სსიპ - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის „კომპიუტერული მეცნიერებების“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
შუამდგომლობა დღისწესრიგის ცვლილებასთან დაკავშირებით

- არა

დამტკიცებული დღისწესრიგი:
1. შპს საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტის ,,მედიცინის" სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის არაგეგმიური მონიტორინგის შედეგების გ ა ნ ხ ი ლ ვ ა ;
2. სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის „თეოლოგია - საქართველოს ეკლესიის ისტორია“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
3. სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის "საკვები პროდუქტების გადამუშავებისა და სამაცივრო ტექნოლოგიის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის ს ა კ ი თ ხ ი ს გ ა ნ ხ ი ლ ვ ა ;
4. სსიპ- ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ,, ფილოსოფიის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
5. სსიპ - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის „კომპიუტერული მეცნიერებების“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

1.პირველისაკითხი: . შპს საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტის ,,მედიცინის" სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის არაგეგმიური მონიტორინგის შედეგების განხილვა;

№	**ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ**	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	მედიცინა
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	აკრედიტებული
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2020წ. 25 სექტემბრის გადაწყვეტილება N 896840
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	-
6	უმაღლესი განათლების საფეხური	უმაღლესი განათლების მესამე საფეხური, დოქტორანტურა
7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე	VIII
9	კვალიფიკაციის დასახელება	მედიცინის დოქტორი
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	მედიცინა 0912
12	სწავლების ენა	ქართული
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	50
14	განხორციელების ადგილი	ვაკე, ი. ჭავჭავაძის გამზ. N25
15	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	-

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება
√ არა
საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება
√ არა
საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.

საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

პირველი საკითხის ზეპირი მოსმენა

ექსპერტების პოზიციის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.

ექსპერტთა ჯგუფის თავჯდომარე,ირინე ფხაკაძე მიესალმა დამსწრე საზოგადოებას და აღნიშნა,რომ ,,მედიცინის" სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა აკრედიტებულია 2020 წელს, რომელსაც გავლილი აქვს გარე შეფასება გეგმიური მონიტორინგის ფარგლებში და აკრედიტაციის საბჭომ პროგრამის მიმართ გასცა ორი რეკომენდაცია. მისი თქმით, პირველი რეკომენდაცია სასწავლო და კვლევითი კომპონენტების გამიჯვნის მიზნით სასწავლო კურსის - „პროსპექტუსის“ დასახელებისა და შინაარსის ცვლილებას ,ხოლო მეორე რეკომენდაცია დარგობრივი ინგლისური ენის სილაბუსში დამატებითი ლიტერატურული წყაროს მითითებასა და მის გამოსწორებას ეხებოდა. მან აღნიშნა, რომ დაწესებულებამ გაიზიარა ორივე რეკომენდაცია და ამის დამადასტურებლად წარმოადგინა მტკიცებულებები. პირველ რეკომენდაციასთან დაკავშირებით, “პროსპექტუსი“ ჩანაცვლდა დარგობრივი სემინარით, რომლის სილაბუსი ცხადჰყოფს, რომ შესაბამისობაშია სასწავლო კომპონენტის შინაარსობრივი და სწავლის შედეგების თვალსაზრისით, რომელიც შეესაბამება განახლების შესაბამის საფეხურს. ირინე ფხაკაძის თქმით, სილაბუსმა დაადასტურა ის, რომ სემინარი ვერ იქნება სადისერტაციო ნაშრომის ნაწილი. სილაბუსის მიზანია დოქტორანტს გამოუმუშავოს პრობლემის იდენტიფიცირების, კლინიკური შეფასებისა და კვლევის მეთოდების უნარები. მეორე რეკომენდაციასთან დაკავშირებით მან აღნიშნა, რომ დაწესებულების მიერ წარმოდგენილმა სულიბუსმა დაადასტურა ის, რომ ინგლისური ენის სწავლების დროს გამოყენებული იქნება თანამედროვე და შესაბამისი ადეკვატური წყაროები.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს წარმოედგინათ მოსაზრებები.

დაწესებულების წარმომადგენელი თამუნა ტუფინაშვილი მიესალმა დამსწრე საზოგადოებას და აღნიშნა, რომ უნივერსიტეტმა წარმოადგინა აკრედიტაციის საბჭოს მიერ განსაზღვრულ ვადებში ანგარში. მისი თქმით, დაწესებულებამ ყველა რეკომენდაცია და რჩევა გაიზიარა.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება

დაწყების დრო: 14:13

დასრულების დრო: 14:16

საბჭოს თავჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა:

შპს საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტის ,,მედიცინის" სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტის საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:

მომხრე - 13

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, აკრედიტაციის დებულების 27^2 მუხლის პირველი პუნქტის, 31-ე მუხლის 25 -ე პუნქტის, 33-ე მუხლის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ „სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისი N233 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, შეწყდა შპს საქართველოს დავით

აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტის ,,მედიცინის" სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე განხორციელებულ არაგეგმიურ მონიტორინგთან დაკავშირებით დაწყებული ადმინისტრაციული წარმოება.

2.მეორე საკითხი: სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის „თეოლოგია - საქართველოს ეკლესიის ისტორია“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

№	**ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ**	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	თეოლოგია - საქართველოს ეკლესიის ისტორია
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	აკრედიტებული
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	№ 57; 19.07.2016
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	თეოლოგია
6	უმაღლესი განათლების საფეხური	დოქტორანტურა
7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე	8
9	კვალიფიკაციის დასახელება	თეოლოგიის დოქტორი
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	რელიგია და თეოლოგია 0221
12	სწავლების ენა	ქართული
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	50 კრედიტი სასწავლო კომპონენტი
14	განხორციელების ადგილი	მ. კოსტავას ქ. 77, თბილისი, მე-6 კორპუსი, 0160, საქართველო.
15	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	-

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება
√ არა
საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება
√ კი
აცილება განაცხადა ეკატერინე შაკიაშვილმა
აცილების საფუძველი: შრომითი ურთიერთობის არსებობა დაწესებულებასთან.
საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.
საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.
მეორე საკითხის ზეპირი მოსმენა
ექსპერტების პოზიციის განხილვა
საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.
ექსპერტი პიტერ ჯონკერსი მიესალმა დამსწრე საზოგადოებას და აღნიშნა, რომ ექსპერტთა ჯგუფის მიერ წარმოდგენილი ანგარიშის განხილვის შემდეგ გაკეთდა დასკვნა იმ საკითხთან დაკავშირებით, რომ „თეოლოგიის“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამას აქვს დიდი განვითარების პოტენციალი, მაგრამ მოცემულ მომენტში ჯერ კიდევ არის დამუშავებისა და განვითარების ქვეშ. მისი თქმით, სადოქტორო პროგრამის დაარსებიდან დღემდე მოხდა დიდი გაუმჯობესება, თუმცა გარკვეული ნაწილი პროგრამისა გასაუმჯობესებელია. პიტერ ჯონკერსმა აღნიშნა, რომ არსებობს სამი ძირითადი საკითხი, რომელიც საჭიროებს გაუმჯობესებას. მისი თქმით, პირველი საკითხი ეხებოდა პროგრამაზე დაშვების მოთხოვნების გაუმჯობესებას, რადგან პროგრამა არ მოიცავდა სამაგისტრო ხარისხის ქონას სტუდენტების მხრიდან. სტუდენტს არ მოეთხოვება ჰქონდეს მაგისტრის ხარისხი ან კონკრეტული თეოლოგიური ცოდნა. ეს სტუდენტებს გაურკვევლობაში აყენებს, რადგან მათ არ იციან რა მოეთხოვებათ. პიტერ ჯონკერსმა ხაზი გაუსვა იმას, რომ ეს ყველაფერი ნეგატიურად აისახება პროგრამაზე, რადგან თუ არ იქნება კონკრეტული მოთხოვნა დაშვების კრიტერიუმებში ეს იმას მიანიშნებს, რომ პროგრამის ძირითადი კურსები და მისი შემდგენელი ნაწილები არ არის მდგრადი. მისი თქმით, მეორე საკითხი ეხებოდა პროგრამაში ინტერნაციონალიზაციის დაბალი დონის გაუმჯობესებას. მან აღნიშნა, რომ სტუდენტები არ იღებენ მონაწილეობას საერთაშორისო კონფერენციებსა და ფორუმებში, ასევე კველვა არ მიმდინარეობს ინგლისურ ენაზე. გარდა ამისა, სტუდენტების მიერ წარმოდგენილი სადისერტაციო ნაშრომები უმეტეს შემთხვევაში არ არის შედგენილი ინგლისურ ენაზე. მისი თქმით, მესამე საკითხი ეხებოდა პროგრამის ანგარიშის გაუმჯობესებას იმიტომ, რომ პროგრამის ანგარიში ძირითადად არის აღწერილობითი ხასიათის, ხოლო ანალიზი წარმოდგენილია ძალიან მცირე ხარისხით. მან ისიც აღნიშნა, რომ თუ პროგრამის ხელმძღვანელები და ლექტორები კრიტიკულად შეხედავენ თავიანთ სამუშაოს, რომლებიც მონაწილეობას იღებენ თვითშეფასების ანგარიშის შედგენაში, ეს ძალიან კარგი იქნება პროგრამისათვის. გარდა ამისა, კრიტიკულად შეფასების დროს აღმოაჩენენ თუ რომელი მხარე საჭიროებს პროგრამაში გაუმჯობესებას სამომავლოდ.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს წარმოედგინათ მოსაზრებები.

დაწესებულების წარმომადგენელი მეუფე ანანია ჯაფარიძე მიესალმა დამსწრე საზოგადოებას და მადლობა გადაუხადა უცხოელ ექსპერტს, პიტერ ჯონკერს გაწეული შრომისთვის. მან აღნიშნა, რომ თემის დაარსება დაკავშირებულია ბოლონიის პროცესის მოთხოვნებთან, კერძოდ როდესაც 2005 წელს ბოლონიის პროცესს შეუერთდა საქართველო. ამით გადაწყდა, რომ ქვეყანა მიიღებდა მონაწილეობას ამ პროცესში. საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალურ მართლმადიდებელმა ეკლესიამ აღიარა პროცესის მნიშვნელობა და დაევალა საეკლესო განათლების სისტემას მისი ამ პროცესში ჩართვა. მისი თქმით, საქართველოს სამოციქულო ეკლესია მიისწრაფვის ევროპული ერების თანამშრომლობისკენ. ქართველი ხალხის მომავალი დაკავშირებულია კულტურლ, სამეცნიერო და ტექნიკურ განვითარებაზე. მან აღნიშნა, რომ ეს პროცესი მოითხოვდა „თეოლოგიის“ ბაკალავრიატ, სამაგისტრო და სადოქტორო საფეხურების არსებობას. გარდა ამისა, არ იყო შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე ადამიანები , რომლებიც იმუშავებდნენ ამ პროგრამაზე ახალგაზრდებთან. მისი თქმით, “თეოლოგია“ როგორც მეცნიერება საქართველოში არ არსებობდა, რომლის მიზეზი იყო საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის მიერ ქვეყნის დაპყრობა და საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესიის ავტოკეფალიის გაუქმება. ამის შესაბამისად, გაუქმადა „თეოლოგიის“ სკოლებიც. მეუფე ანანია ჯაფარიძემ აღნიშნა, რომ 1905 წელს იყო საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის შესახებ მსჯელობა პეტერბურგის უნივერსიტეტში, რომელშიც მონაწილეობდნენ სინოდის წევრები. ამ პროცესზე ნიკო მარმა განაცხადა, რომ XVIII საუკუნეში ქართული თეოლოგიური სკოლა უფრო მაღლა იდგა, ვიდრე რუსული. საქართველოს პატრიარქმა გადაწყვიტა, რომ შეექმნა საერთაშორისო და სადისერტაციო კომისია. მისი თქმით, საქართველოში მოწვეულ იქნენ სხვადასხვა ცნობილი ეკლესიებიდან მღვდელმთავრები და ამის შედეგად ჩამოყალიბდა ქვეყანაში საერთაშორისო და სადისერტაციო კომისია. კომისიამ განიხილა სადისერტაციო ნაშრომები და მათ ავტორებს მიენიჭათ პირველი დოქტორის ხარისხი “თეოლოგიაში“. მან აღნიშნა, რომ ამ კომისიის მთავარ მიზანს წარმოადგენდა ის, რომ აღზრდილიყვნენ შესაბამისი მცოდნის მქონე ადმიანები „თეოლოგიის“ პროფესიის მიმართულებით. მან ხაზი გაუსვა იმას, რომ პატრიარქის დავალებით „თეოლოგის“ განხრით სწავლის პროცესი უნდა წარმართულიყო საქართველოს თბილისის სასულიერო აკადემიაში. მისი თქმით, „თეოლოგიის“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამამ უნდა დაამუშავოს შემდეგი თემები: ისტორიული ღვთის მეტყველება, რომელიც მოიცავს საქართველოს სამოციქულო ეკლესიის სეგმენტებს, საქართველოს ეკლესიის ისტორიას, საქართველოს ეკლესიის იურისდიქციის საზღვრებს, საქართველოს საეკლესიო სამართალს, ძველი ქართული საეკლესიო კულტურას და ა.შ. მეუფე ანანია ჯაფარიძემ უცხოელი ექსპერტის მიერ გაცემულ პირველ რეკომენდაციასთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ „თეოლოგიის“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა ითვალისწინებს მაგისტრების მიღებას პროგრამაზე, რომლის ნათელ მაგალითს წარმოადგენს მამა თეოდორე გიგნაძე, რომელიც იყო მაგისტრი და შემდეგ სწავლა გააგრძელა „თეოლოგიის“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე, რომელმაც დაიცვა დისერტაცია და მიენიჭა „თეოლოგიის“ დოქტორის ხარისხი. მისი თქმით, “თეოლოგიის“ სამაგისტრო სკოლა არის ახალი შექმნილი და სამომავლოდ გათვალისწინებულია მაგისტრების მიღება იმ შემთხვევაში თუ, რა თქმა უნდა, მათი რაოდენობა იქნება რიცხობრივი, მაგრამ ამჟამად მცირეა. მან ხაზი გაუსვა იმას, რომ სრულად ეთანხმება ექსპერტის მიერ გაცემულ რეკომენდაციას და დაწესებულება მზად არის სამომავლოდ მიიღოს “თეოლოგიის“ მაგისტრები. მეუფე ანანია ჯაფარიძემ მეორე რეკომენდაციასთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ საერთაშორისო კონფერენციები საქართველოში ხშირად არ ტარდება. მისი თქმით, ახლა ჩატარდა საერთაშორისო კონფერენცია „საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში“, რომელშიც მონაწილეობდნენ ამერიკელი და თურქი მეცნიერები. მან ხაზი გაუსვა იმას, რომ კონფერენციაზე სიტყვით გამოვიდა ორჯერ სტუ-ს დოქტორანტი, რომელმაც დიდი მოწონება დაიმსახურა. დაწესებულება იზიარებს ექსპერტ პიტერ ჯონკერსის რეკომენდაციას იმ საკითხთან დაკავშირებით, რომ უნივერსიტეტს სჭირდება ინტერნაციონალიზაციის უფრო მაღალი დონე. რაც შეეხება მესამე რეკომენდაციას, უნივერსიტეტი იზიარებს და მეტი

კრიტიკული ხედვით მიუდგება მას. მისი თქმით, დაწესებულების ძირითადი პრინციპი არის კვლევა და სწავლა, რომელიც ერთმანეთისაგან განუყოფელია. საქართველოსა და ევროპაში „თეოლოგია“ ქვეყნისა და ერის განვითარების საწინადარი იყო. მან აღნიშნა, რომ საქართველოს მეზობელ ქვეყნებში, აზერბაიჯანსა და სომხეთშიც ფუნქციონიერებს „თეოლოგიის“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა. მეუფე ანანია ჯაფარიძემ ხაზი გაუსვა იმას, რომ პროგრამა ახალია და ვითარდება, რომელსაც სჭირდება ხელის შეწყობა. ის ხარვეზები, რომლებიც მას აქვს გათვალისწინებული და გამოსწორებული იქნება. დაწესებულების წარმომადგენელმა ლევან მათეშვილმა აღნიშნა, რომ „საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში“ თეოლოგიის სასწავლო სამეცნიერო ცენტრს ოცი წელი შეუსრულდა წელს. ამ ცენტრის ფარგლებში მომზადდა 2016 წელს პროგრამა „თეოლოგიაში“, რომლის რეაკრედიტაცია ხდება ახლა. ცენტრი ინტეგრირებულია ფაკულტეტთან. ლევან მათეშვილმა პირველ რეკომენდაციასთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ დაშვების წინაპირობები შეიძლება ჩაკეტილიყო პირდაპირ ისე როგორც მოთხოვნა იყო, კერძოდ „თეოლოგიის“ პროგრამაზე მხოლოდ მაგისტრების მიღება მომხდარიყო. მისი თქმით, ბოლონიის პროცესი და თანამედროვე კვლევები, რომლებიც წარიმართა მსოფლიოში, წარმოადგენს ინტერდისციპლინარობის პრინციპს. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის „თეოლოგიის“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა ინოვაციურია საქართველოში. ეს დარგი არის მულტიფუნქციურიც და ინტერდისციპლინარულიც იმიტომ, რომ მასში ბევრი სხვადასხვა დისციპლინაა შემოსული, კერძოდ „ისტორია“,“თეოლოგია“,“ფილოლოგია“,“რელიგიათმცოდნეობა“ და ა.შ. მან აღნიშნა, რომ ჩაკეტვა მხოლოდ მარტოოდენ თეოლოგიის მაგისტრით იქნებოდა კონტრპროდუქტიული. დაწესებულება იღებს მსურველ აპლიკანტს, რომელმაც უნდა წარმოადგინოს კვლევითი პროექტი. კვლევითი პროექტის მოთხოვნა ექსპერტების მხრიდან ვერ იქნა გაგებული შესაბამისად და აქედან გამომდინარე გამოიყენეს ტერმინი „შეშფოთება“. ლევან მათეშვილის თქმით, მათთვის ამ ტერმინმა დასკვნაში გაოცება გამოიწვია. “ვერ იქნა გაგებულში“ იგულისხმება ის თუ რას ნიშნავს მიღების წინაპირობად აპლიკანტმა წარმოადგინოს კვლევითი პროექტი. მან აღნიშნა, რომ კვლევითი პროექტის მოთხოვნა საქართველოს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში ყველგან აპრობირებულია. აპლიკანტის კვლევითი პროექტი არის ის ერთ-ერთი ჩამკეტი ღერძი მიღების დროს, როდესაც მოწმდება კომისიის მიერ როგორც აპლიკანტის სამეცნიერო უნარები, ისე დარგის კომპეტენცია. მისი თქმით, ამის მიხედვით იღებს კომისია გადაწყვეტილებას თუ რა უნარები გააჩნია მსურველს როგორც დარგში, ისე მის სამეცნიერო კომპეტენციებში. ეს არის ერთ-ერთი ჩამკეტი და არა ერთადერთი. ლევან მათეშვილმა ხაზი გაუსვა იმას, რომ ადგილობრივი ექსპერტის მხრიდან იყო რეკომენდაცია, რომელიც ეხებოდა ძველი ბერძნული და ლათინური ენის დამატებას. მისი თქმით, პიტერ ჯონკერსი დაეთანხმა მას იმაში, რომ საქართველოს ეკლესიის დოქტორანტურისთვის მათი დამატება არ გამოდგება იმიტომ, რომ პროგრამა ეხება „თეოლოგიას“ და არა „ბიბლიეისტიკას“ ან „ტექსტოლოგიას“. გარდა ამისა, ადგილობრივი ექსპერტის მოთხოვნა იყო, რომ დამატებოდა პროგრამას „ძველი ქართული ენის სწავლება“, რომელზეც დაწესებულება დაეთანხმა, მაგრამ საჭიროება არ მოითხოვს, რომ ეს საგანი ისწავლებოდეს ამ პროგრამაზე. მან აღნიშნა, რომ „ძველი ქართული ენა“ სკოლებში ისწავლება. V საუკუნეში დაწერილი ტექსტით თანამედროვე ქართველს 70%-ი ესმის, რომელიც ფენომენია ქართული ენისა. მისი თქმით, დოქტორანტმა რომელმაც არ იცის საქართველოს ეკლესიის ისტორიის მიმართულებაში ძველი ქართულ ენის მწკრივები და სერიები, რა თქმა უნდა, მას კვლევაში შეუშლის ხელს. მეორე რეკომენდაციასთან დაკავშირებით ლევან მათეშვილმა აღნიშნა, რომ ინტერნაციონალიზაცია მარტო ინგლისურ ენაზე მოლაპარაკე ქვეყნებთან მჭიდრო კავშირებით არ შემოიფარგლება, თუმცა ესეც აუცილებელია. მისი თქმით, “საქართველოს ეკლესიის კვლევა“ არის ახალი მიმართულება ქვეყანაში. საზღვარგარეთ მსგავსი სახის გამოცემული კვლევა არ არსებობს. მან ხაზი გაუსვა იმას, რომ ინტერნაციონალიზაცია არ მოიცავს ანგლოსაქსურ სამყაროს. მართლმადიდებლურ სამყაროსთან დაწესებულებას აქვს

მჭიდრო ურთიერთობები, რომელსაც ადასტურებს მემორანდუმები ათონის წმინდა მთის საგანმანათლებლო ცენტრებთან და სლავურ სამყაროსთან. მან აღნიშნა ,რომ ინგლისურენოვან სამყაროსთანაც მნიშვნელოვანია ამგვარი ურთიერთობები, რომლის დასტურია ამერიკის შეერთებული შტატების ენდრიუსის უნივერსიტეტთან გაფორმებული მემორანდუმი, რომელიც ხელს შეუწყობს ორ სხვადასხვა რელიგიურ სამყაროს შორის ურთიერთობებს. მან ისიც აღნიშნა, რომ პროგრამის შეფასების პირველი - მეორე სტანდარტი ეს არის მაიდენფიცირებელი და განმსაზღვრელი კრიტერიუმი პროგრამაზე. ლევან მათეშვილის თქმით, შეშფოთებას იწვევს ექსპერტების მიერ დაწერილი შეფასება პირველ და მეორე კრიტერიუმებზე. გარდა ამისა, მას აინტერესებდა დაწესებულების მიერ არგუმენტირებული პასუხის შემდეგ რა უნდა მომხდარიყო ისეთი, რომ პროგრამის დაბალი შეფასება გამოიწვია ექსპერტთა მხრიდან. მამა თეოდორე გიგნაძემ აღნიშნა, რომ თეოლოგიის ცოდნის გარეშე შეუძლებელი იყო ამ პროგრამაზე მოხვედრა. მისი თქმით, შეფასების კრიტერიუმები იყო რთული. დაცული დისერტაცია არის ჩატანილი ათონის წმინდა მთისა და კვიპროსის ბიბლიოთეკაში. მისი თარგმნა არის გადაწყვეტილი ბერძნულ ენაზე. მან ხაზი გაუსვა იმას, რომ ტარდება ინტენსიური ლექციები როგორც კვიპროსის, ისე საბერძნეთის ეკლესიაში. გარდა ამისა, ამერიკის შეერთებულ შტატებსა და ისრაელში ჩატარდა ლექციები. დაწესებულების წარმომადგენელმა დავით მახვილაძემ განმარტა, რომ საქართველოს ისტორიის კვლევის მიმართულება დოქტორანტურისა მხოლოდ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტშია პატრიარქის ლოცვა-კურთხევით. მან ხაზი გაუსვა იმას, რომ პირველ სტანდარტთან მიმართებაში, საექსპერტო შეფასების ნაწილში არის ბევრი უზუსტობა. მისი თქმით, დაწესებულებამ ვერ გაიგო თუ რატომ არის საჭირო პროგრამას ჰქონდეს კიდევ ერთი წინასწარი პროგრამა, რომელიც 1.2 სტანდარტის ქვეშ არსებობს. მთავარი პრობლემა, რომელიც დასკვნაში გამოიკვეთა იყო არათანმიმდევრულობა ჩარიცხვის წინა პირობაში, პროგრამის შინაარსსა და მისაღწევ შედეგთან მიმართებაში. მან აღნიშნა, რომ დაშვების წინაპირობა ჩადებულია რამდენიმე კრიტერიუმი. დაწესებულება ითხოვს პროგრამაზე დაშვების წინაპირობად მაგისტრის ხარისხს, კვლევით პროექტსა და ინტერნაციონალიზაციას B2 დონეზე. ეს ყველაფერი, განსაკუთრებით კი კვლევითი პროექტი ფასდება გასაუბრების კომისიასთან. მან აღნიშნა, რომ 2024 წელს საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი არის ოფიციალური მასპინძელი „ჰეგელის კონგრესისა“. მისი თქმით, მეტი განვითარებისთვის პროგრამას დაემატა უცხოური ენის ხელშეწყობა. გარდა ამისა, „თეოლოგიის ცენტრი“ ჩართულია საერთაშორისო ღონისძიებებში. დაწესებულება არის ინვესტორიც და უნივერსიტეტის 100 წლის იუბილეს ფარგლებში იღებს უცხოეთიდან ჩამოსულ დელეგატებს. მან ხაზი გაუსვა იმას, რომ 27 დეკემბერს დიდი ღონისძიებაა დაგეგმილი ტექნიკურ უნივერსიტეტში პატრიარქის აღსაყდრებასთან დაკავშირებით. რაც შეეხება ანგარიშის აღწერის ნაწილს აღნიშნა, რომ დაწესებულება ცდილობს სტანდარტის დაკმაყოფილების ნაწილში აღწეროს სრული მოცულობით არსებული მდგომარეობა. პირველ სტანდარტთან მიმართებით, დაწესებულების მიერ წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიციის შემდეგ მოიკლო რეკომენდაციების რაოდენობამ და ამოღებული იქნა რამდენიმე, მაგრამ დამძიმდა შეფასები კრიტერიუმები. დავით მახვილაძემ ვარაუდი გამოთქვა, რომ ეს არის ტექნიკური ხარვეზი, რომელზეც იქნება მათი მოსაზრება დაფიქსირებული. მისი თქმით, პირველი მიმართულება საერთაშორისო ექსპერტის აღნიშვნასთან მიმართებაში, დაშვების წინაპირობის ნაწილში პრობლემას წარმოადგენს მე-2 სტანდარტის ნაწილი, რომელიც სრულ შესაბამისობაშია ექსპერტთა დასკვნიდან გამომდინარე მოთხოვნებთან. მან აღნიშნა, რომ დაწესებულებამ ყველაფერი გააკეთა იმისათვის, რომ „თეოლოგიის“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა წარმოდგენილიყო აკრედიტაციის სხდომაზე ყველა რეკომენდაციების გათვალისწინებით. მისი თქმით, პროგრამა არსებობას იმსახურებს ობიექტური შეფასებით. შეუსაბამობა არ ფიქსირდება არცერთი მიმართულებით.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ მოსაზრებები.

საბჭოს თავჯდომარემ გოდერძი ბუჩაშვილმა კითხვა დაუსვა ექსპერტებს. მას აინტერესებდა, შეიცვალა თუ არა პირველ სტანდარტთან დაკავშირებით შეფასება და რამ გამოიწვია ეს. ექსპერტმა პიტერ ჯონკერსმა აღნიშნა, რომ ექსპერტთა ჯგუფის თითოეულმა წევრმა იმუშავა კომპეტენტურად. მათი შეხედულებები და დასკვნები წარმოდგენილი იყო ანონიმურად. მისი თქმით, ექსპერტთა ჯგუფის წევრებს შორის არ ყოფილა უთანხმოება და აზრთა სხვადასხვაობა. გარდა ამისა, ექსპერტთა ჯგუფის განზრახვას არ წარმოადგენდა პროგრამის გაუქმება. მისი აზრით, პროგრამას ძალიან დიდი წვლილი შეაქვს საქართველოს თეოლოგიის განვითარებაში. მან აღნიშნა, რომ ეროვნული ცენტრის წარმომადგენელმა უთხრა, რომ თუ ბევრი სტანდარტის შეფასება იქნებოდა შეუსაბამო,ნაწილობრივ შესაბამისობაში, საბოლოო შეფასებას დაბლა დაწევდა. შესაბამისად, ამიტომ მოხდა შეფასების ცვლილება და რამდენიმე რეკომენდაციის ამოღება. საბჭოს წევრმა თეა მჭედლურმა კითხვა დაუსვა დაწესებულებასა და ექსპერტებს. მან აღნიშნა,რომ აპლიკანტის დაშვების წინაპირობაში წერია შემდეგი რამ: „აპლიკანტს უნდა ჰქონდეს სამეცნიერო პუბლიკაციები,სამეცნიერო კონფერენციებში მონაწილეობა, სასწავლო კვლევით საქმიანობასთან დაკავშირებული დოკუმენტები, როგორებიცაა სერთიფიკატები, სიგელები, პატენტები და ა.შ. დაშვების პროგრამაზე ჩარიცხვის მსურველებს უნდა ჰქონდეთ კვლევითი პროექტი, რომელშიაც გამოკვეთილი იქნება კვლევის მიზანი და მიმართულება.“ მას აინტერესებდა, როგორ ხდება გასაუბრების პროცესში აპლიკანტის მიერ დარგში სადოქტორო კვლევებისათვის საჭირო დონის შეფასება.ასევე,პროგრამის დაშვების წინაპირობები უზრუნველყოფს თუ არა ჩარიცხული სტუდენტების მიერ პროგრამით გათვალისწინებული სასწავლო და კვლევითი კომპონენტის დაძლევის შესაძლებლობას. გარდა ამისა, საკმარისია თუ არა აპლიკანტს ჰქონდეს სამეცნიერო სტატიები, სამეცნიერო კონფერენციებში მონაწილეობა, სასწავლო კვლევით საქმიანობაში ჩართულობა, სერთიფიკატები, სიგელები და ა.შ. საბჭოს წევრმა თეა მჭედლურმა აღნიშნა, რომ 1.5 რეკომენდაციასთან დაკავშირებით ექსპერტებს უწერიათ შემდეგი რამ: „პროგრამამ მკაფიოდ უნდა განასხვავოს ერთმანეთისაგან თეოლოგიაში არასაკმარისი აკადემიური განათლებისა და დოქტორანტის სტუდენტების განკუთვნილი შესავალი კურსები. შესავალი კურსები უნდა იყოს წინასწარი პროგრამის ნაწილი, ხოლო მეორე კი სადოქტორო პროგრამის ნაწილი და მოერგოს დოქტორანტის სპეციალურ საჭიროებას.“ მას აინტერესებდა, რას გულისხმობენ ექსპერტები შესავალ და წინასწარი კურსების ნაწილში. მისი თქმით, დასკვნაში არ არის მოცემული „შედარებითი თეოლოგიის“ საგანი, რომელზეც ექპსერტებს ნარატივში ეწერათ, რომ არ აკმაყოფილებს შესაბამის დონეს. მას აინტერესებდა, არსებობს თუ არა ასეთი საგანი. ექსპერტმა ცოტნე ჩხეიძემ აღნიშნა, რომ დაწესებულების რამდენიმე წარმომადგენლის მიერ არასწორად იქნა აღქმული შეფასებები. მისი თქმით, ექპერტებს არა აქვთ იმის განზრახვა, რომ პროგრამამ არ იფუნქციონიროს. მისი აზრით, პროგრამაში უნდა იყოს მითითებული თეოლოგიისა და მეთოდოლოგიური კურსების რამდენიმე კრედიტი იმისათვის, რომ სტუდენტი დაიშვას ამ პროგრამაზე. მან ხაზი გაუსვა იმას, რომ ძველი ქართული ენის სწავლების შემოღება რჩევის სახით არის დასკვნაში იმიტომ, რომ სკოლაში უკვე ისწავლება. გარდა ამისა, სტუდენტს სწავლის პროცესში შეიძლება შეხება ჰქონდეს ძველქართულ ხელნაწერებთან და მას აუცილებლად დასჭირდება ძველი ქართული ენის ცოდნა, რომელზეც დაწესებულება დაეთანხმა. ცოტნე ჩხეიძემ განმარტა, რომ ადგილზე ვიზიტის დროს რამდენიმე დოქტორანტს გაესაუბრნენ, რომლებსაც სურვილი ჰოქნდათ მიეღოთ მეტი ცოდნა თეოლოგიაში. მისი თქმით, თუ სტუდენტს მიღებული და გამოქვეყნებული აქვს სამეცნიერო სტატიები, სერთიფიკატები, სიგელები და ა.შ. ლოგიკურია, რომ მას შესაბამისი განათლება ექნება „თეოლოგიაში“. პროგრამაზე უნდა იყოს კონკრეტულად გაწერილი თემები, რომლებსაც გამოკითხავს კომისია აპლიკანტს. სტუდენტს, რომელსაც არ ექნებოდა აკადემიური ხარისხი, დაწესებულება შესთავაზებდა მას წინარე კურსებს, რომელებიც დაკომპლექტებული იქნებოდა იმ თემებით, რომლებიც შესულია სადოქტორო პროგრამაში. ამით ისინი უფრო მეტ ცოდნას მიიღებდნენ „თეოლოგიაში“. დაწესებულების წარმომადგენელმა ლევან მათეშვილმა აღნიშნა, რომ პროგრამის მოთხოვნა არის ის, რომ აპლიკანტს უნდა ჰქონდეს გარკვეული რაოდენობის ნაშრომი და პროექტი. მისი თქმით, წინა

პროგრამის მიხედვით ასეთი მოთხოვნა და ჩაკეტვის მექანიზმი არ იყო. პროგრამაზე მოსული აპლიკანტების 80%-ი წარმოადგენს სასულიერო პირს. მან აღნიშნა, რომ ყველა შემთხვევაში მათ ძველი ქართული ენა ძალიან კარგად იციან როგორც თეორიულად, ისე პრაქტიკულად იმიტომ, რომ ყოველდღე ჩართული არიან ლიტურგიკაში, ლოცვებსა და სახარებაში. ლევან მათეშვილმა განმარტა, რომ „ლიტურგიკული თეოლოგია“ არის თეოლოგიის განსხვავებული მიმართულება და ამ პროგრამის ფარგლებში ლიტურგიკული ტექსტების განხილვა არ არის საჭირო. მისი თქმით, არასასულიერო პირი არის 20%-ი და გასაუბრების დროს მოწმდება მათი საბაზისო თეოლოგიური ცოდნა. გარდა ამისა, მოწმდება ძველი ქართული ენის ცოდნაც შესაბამისი ტექსტების წაკითხვით. მან ხაზი გაუსვა იმას, რომ ამ პროგრამის ფარგლებში დაიხვეწა აპლიკანტთან გასაუბრება და მიეცა გამოცდის ფორმა. საბჭოს წევრმა ეკატერინე ნაცვლიშვილმა კითხვა დაუსვა ექსპერტებსა და დაწესებულებას. მისი თქმით, დასკვნის ნარატივში ხაზგასმულია ექსპერტთა ჯგუფის მისალმება პროგრამაში განხორციელებული ცვლილებებისადმი, თუმცა თვლის რომ პროგრამა ჯერ სრულად არ შეესაბამება სტანდარტებს. მას აინტერესებდა, “სრულად არ შეესაბამება“ ისე უნდა იქნას გაგებული როგორც წერია თუ ტექნიკური ხარვეზია. გარდა ამისა, მას აინტერესებდა პროგრამის მიზნები და სწავლის შედეგების მიღწევადობა რა ნაწილში არის შეუსაბამო მაშინ როდესაც პროგრამის განხორციელების მეთოდოლოგია მაღალი შეფასებით არის შეფასებული. თუ სრულად შესაბამისობაშია მეორე სტანდარტი, ამ სტანდარტში გაცემული ცალკეულ ქვესტანდარტებში რეკომენდაციები როგორ იქნება გაგებული. ეკატერინე ნაცვლიშვილმა აღნიშნა, რომ დასკვნაში არის ასეთი ჩანაწერი: „ექსპერტმა ჯგუფმა შენიშნა, რომ პროგრამის ხელმძღვანელობა და მისი ლექტორები როგორც ჩანს ყოველთვის არ თანამშრომლობენ ეფექტურად ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან“. გარდა ამისა, რეკომენდაცია არის ის, რომ თანამშრომლობა პროგრამას მნიშვნელოვნად წაადგება. ეკატერინე ნაცვლიშვილის თქმით, ეს მძიმე ჩანაწერია იმ ფონზე, რომ მე-4 სტანდარტი ადამიანური რესურსების ნაწილში მაღალი შეფასებით არის შეფასებული ისევე როგორც პროგრამის ხელმძღვანელის კომპეტენცია. მას აინტერსებდა თუ რა არის ამ ჩანაწერის საფუძველი და როგორ უნდა იქნას გაგებული. მან ხაზი გაუსვა იმას, რომ სწავლების მეთოდების სილაბუსსა და სამეცნიერო კომუნიკაციის ტექნიკას ერთი და იგივე ლიტერატურა აქვს მითითებული. მან აღნიშნა, რომ 2019 წელს ორმა დისერტანტმა დაიცვა დოქტორის ხარისხი, თუმცა 2022 წელს ისინი პოტენციურ ხელმძღვანელებად არიან მოაზრებულნი. მისი აზრით, 2019 წელს კვალიფიკაცია მინიჭებული ადმიანის ლექციაზე შეშვება პრობლემას არ წამოადგენს. მას აინტერსებად, არის თუ არ დასაშვები ახლად მინიჭებული კვალიფიკაციის მქონე ადამინის დანიშვნა დისერტანტის ხელმძღვანელად. ექსპერტმა პიტერ ჯონკერსმა განმარტა, რომ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის საქმიანობა მაღალის შეფასებით შეფასდა, თუმცა გარკვეული პროცედურები და დებულებები,რომლებიც დაწესებულებამ წარმოადგინა საჭიროებს თარგმანს. მან ხაზი გაუსვა იმას, რომ დებულებები და რეგულაციები წარმოდგენილი იყო copy-paste-ით. მისი თქმით, არ არის აუცილებელი ამ პროგრამაზე დაშვებისათვის სტუდენტს ჰქონდეს მაგისტრის ხარისხი თეოლოგიაში. მან აღნიშნა, რომ „თეოლოგიის“ პროგრამა არის ინტერდისციპლინარული, თუმცა სტუდენტს, რომელსაც მაგისტრის ხარისხი აქვს „ფილოსოფიაში“ ან რომელიმე ჰუმანიტარულ საგანში ნაკლები კრედიტის აღება მოუწევს სანამ პროგრამაზე იქნება დაშვებული. საბჭოს წევრმა დავით ჩოჩიშვილმა კითხვა დაუსვა ექსპერტებს. მას აინტერესებდა რას გულისხმობდნენ ექსპერტები შემდეგ წინადადებაში: „შესავალი კურსები უნდა იყოს წინასწარი პროგრამის ნაწილი, ხოლო მეორე სადოქტორო პროგრამის ნაწილი და მოერგოს დოქტორანტებისთვის სპეციალურ საჭიროებებს. გარდა ამისა, მას აინტრესებდა რას გულისხმობდნენ ექსპერტები „სპეციალურ საჭიროებებში“. მან აღნიშნა, რომ 1.5 რეკომენდაციის მეორე აბზაცში მოცემულია წინადადება - „მომავალი სტუდენტები“. მას აინტერსებდა, ვინ იგულსხმიებიან მასში. პიტერ ჯონკერსმა განმარტა, რომ ექსპერტებს საშუალება არ ჰქონდათ ყოველი კურსის აღწერილობითი ნაწილი გადაეხედათ, მაგრამ ძირითადი ნაწილის შესწავლა და გადახედვა მაინც მოხდა. მისი თქმით, კურსების უმეტესი

ნაწილი შეესაბამება საბაკალავრო და სამაგისტრო დონეს და არა სადოქტორო დონეს. ამიტომ სადოქტორო დონისთვის კურსები უნდა იყოს უფრო ყოვლისმომცველი და დეტალური. მან აღნიშნა, რომ მათი რჩევა იყო საბაკალავრო და სამაგისტრო დონის კურსები შესულიყო საწყის პროგრამაში, ხოლო დანარჩენი საგანმანათლებო ნაწილი ყოფილიყო სადოქტორო ხარისხის შესაბამისი, რაც პროგრამაზე დოქტორნატებს საშუალებას მისცემდა სწავლების ეს დარგი იმ დონეზე შეესწავლათ, რომ სამ წლით ადრე შეძლებოდათ დისერტაციის დაცვა. საბჭოს წევრმა ლევან მოსახლიშვილმა კითხვა დაუსვა დაწესებულებასა და ექსპერტებს. მას აინტერესებდა, აღწევეს თუ არა "საქართველოს ეკლესიის სამართლის ძეგლების" კურსი იმ სასწავლო მიზანს, რომელიც პროგრამაშია მითითებული. დაწესებულების წარმომადგენელმა ლევან მათეშვილმა უპასუხა, რომ ეს დარგი არის მიტროპოლიტი ანანია ჯაფარიძის ინოვაცია. ის ლიტერატურა, რომელიც მითითებული არის წარმოადგენს მის წიგნებს, რომელშიაც განხილულია საქართველოსა და მსოფლიო სამართლის ძეგლები. მეუფე ანანია ჯაფარიძემ აღნიშნა, რომ ეს სილაბუსი გულისხმობს სიტყვა „საქართველოს". მასში იგულისხმება „საქართველოს სამართლის ძეგლების ანალიზი". მისი თქმით, გამოცემულია წიგნი, რომლითაც ხდება ამ დარგის შესწავლა. გარდა ამისა, ეს არის ერთადერთი ლიტერატურა და მსგავსი სახის არ არსებობს. მან ხაზი გაუსვა იმას, რომ სილაბუსი ეხება მხოლოდ „საქართველოს საეკლესიო სამართლის ძეგლების ანალიზს". საბჭოს წევრმა გურანდა ჭელიძემ კითხვა დაუსვა დაწესებულებასა და ექსპერტებს 4.3 სტანდარტთან დაკავშირებით. მისი თქმით, დასკვნაში ექსპერტებმა დაწერეს, რომ პროფესიული განვითარების შედეგები არ აანალიზებს პროგრამაზე ასახულ შედეგებსა და ეფექტებს. გარდა ამისა, პროფესიული განვითარების კონტექსტი ვერ საბუთდება ვერც აკადემიური პერსონალის რეზიუმეებით და ინტერვიუს დროსაც ვერ იქნა ეს დასაბუთებული. ექსპერტებმა აღნიშნეს, რომ აკადემიური პერსონალი აქტიურად არის ჩართული სხვადასხვა უნივერსიტეტებში ლექციების კითხვასა და საერთაშორისო კონფერენციების მიღებაში. მისი თქმით, ეს ცდება იმ კონტაქტებს, რომელიც მყარდება ქართული ეკლესიის მიერ და ეს უნივერსიტეტს არ გააჩნია. მას აინტერესებდა, რა კეთდება ამ სადოქტორო პროგრამის აკადემიური პერსონალის განივთარებისათვის. გარდა ამისა, მომავალში იგეგმება თუ არა ქართულ ეკლესიასთან მოლაპარაკების წარმოება ხელშეკრულებისა და შეთანხმების საფუძველზე, რომელშიაც ასახული იქნება კონკრეტული პროგრამების განვითარება. ექსპერტმა პიტერ ჯონკერსმა უპასუხა, რომ ექსპერტთა შეფასება აკადემიურ პერსონალთან დაკავშირებით დაემყარა იმ პროფესიულ რეზიუმეებს, რომლებიც წარმოადგინეს მათ გასაუბრების დროს. მისი თქმით, აკადემიურ პერსონალს ჰქონდა შესაბამისი კვალიფიკაცია და ხარისხი ამ დარგში. ისინი შეესაბამებიან იმ დონეს, რომ მათ ასწავლონ დოქტორანტებს ამ საფეხურზე. საბჭოს წევრმა თეა მჭედლურმა დამაზუსტებელი კითხვა დაუსვა ექსპერტებს. მას აინტერსებდა, რას გულისხმობდნენ ექსპერტები „წინასწარ პროგრამაში". პიტერ ჯონკერსმა აღნიშნა, რომ „წინასარ პროგრამაში" მოიაზრება ისეთი პროგრამა, რომელშიაც შედის ისეთი კურსები, რომლებიც აკადემიური ცოდინისა და გამოცდილების არმქონე სტუდენტები მიიღებენ ცოდნას თეოლოგიის მიმართულებით. საბჭოს წევრმა თამარ სირაძემ კითხვა დაუსვა დაწესებულებას. მას აინტერესებდა, აქვს თუ არა უნივერსიტეტს საქართველოსა და საერთაშორისოდ არსებულ უმაღლეს დაწესებულებებთან ურთიერთობა, რომლებშიაც ისწავლება თეოლოგია. გარდა ამისა, გეგმავს თუ არა უნივერსიტეტი "კომპერატივისტიკული ღვთისმეტყველებში" მეთოდოლოგიის სწავლებას. მეუფე ანანია ჯაფარიძემ უპასუხა, რომ რამდენიმე ნაშრომი არის თარგმინილი უცხო ენაზე. ასეთს წარმოადგენს „საქართველოს ეკლესიის მოკლე ისტორია", რომელიც ითარგმნა რუსულად და ნიუ-იორკში გამოიცა ინგლისურად პატარა ბროშურის სახით. მისი თქმით, 2008 წლის ომამდე ინტენსიურად ჩამოდიოდნენ უცხოელები თოლოგიური ცენტრებიდან. ივერი ფრანგიშვილმა მოიწვია ცნობილი მეცნიერები რუსეთიდან და საქართველოს პატრიარქის თაოსნობით ჩატარდა სამჯერ საერთაშორისო კონფერენეცია საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში. მან ხაზი გაუსვა იმას, რომ სომხეთის, საბერძნეთისა და ბაქოს თეოლოგიურ სკოლებთან სამომავლოდ იგეგმება ურთიერთობა, მაგრამ თუ საჭიროებამ მოითხოვა რუსულ

თეოლოგიურ სკოლასთან აღდგება კავშირი. ლევან მათეშვილმა აღნიშნა, რომ შვეიცარიაში „შან ბეზისის“ კონფერენციაზე დაწესებულება იღებდა მონაწილეობას და მათი წარმომადგენლები გაეცნენ საქართველოს ეკლესიის კვლევებს. მისი თქმით, იგეგმება გერმნაულ თეოლოგიურ რამდენიმე სკოლასთან ურთიერთობა. მან აღნიშნა, რომ საქართველოს 3 უსდ-ში მოქმდებს თეოლოგიური სკოლა. ესენია: თბილისის სასულიერო აკადემია, საქართველოს ტექნიკური და სულხან საბა ორბელიანის უნივერსიტეტი. მან ხაზი გაუსვა იმას, რომ „შედარებითი ღვთისმეტყველება“ მოიცავს არსებული თეოლოგიური ნააზრევის შედარებით დახასიათებას. მისი თქმით, ეს წარმოადგენს არჩევით საგანს და გათვლილია იმ სტუდენტებისთვისაც, რომლებსაც არ აქვთ განათლება „თეოლოგიაში“. დაწესებულების წარმომადგენელმა დავით მახვილაძემ აღნიშნა, რომ საქართველოს ისტორიის კვლევის ნაწილში რა რესურსიც არსებობს მთლიანად მობილიზებულია ამ პროგრამის განხორციელებისა და განვითარებისათვის. მისი თქმით, ,,წინასწარი პროგრმა“ დოქტორანტურის პროგრამასთან მიმართებაში გულისხმობს მაგისტრატურას, ხოლო მაგისტრატურის წინასწარი კი ბაკალავრს. მოსამზადებელი კურსები დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგამასთან მიმართებაში დაწესებულებას არარელევანტურად და შეუსაბამოდ მიაჩნია.

განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის წარმომადგენელმა, ნინო ალავიძემ განმარტება გააკეთა რომ პროგრამის დასკვნის პროექტის პირველად ვერსიაში, 1.5 ქვე-კომპონენტში ექსპერტებს შეფასება ჰქონდათ მონიშნული, როგორც - ,,არ შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს” და 1 სტანდარტი შეფასებული იყო როგორც - ,,ნაწილობრივ შესაბამისობაში მოთხოვნებთან”. მისი თქმით, ცენტრისგან ექსპერტთა ჯგუფმა მიიღო კომენტარი, რომ თუ კი 1.5. ქვე - სტანდარტის შეფასება დარჩებოდა უცვლელი, ამ შემთხვევაში, განახლებულ დასკვნის პროექტში 1 სტანდარტი უნდა შეეფასებინათ, როგორც - ,,არ შეესაბამება მოთხოვნებს”. ინაიდან ექსპერტთა ჯგუფმა განახლებული დასკვნის პროექტი ისევ რეკომენდაციით, ქვე-სტანდარტის და სტანდარტის იგივე შეფასებით წარმოადგინა ცენტრმა ისევ მიმართა ექსპერტთა ჯგუფს გადაეხედათ საბოლოო შეფასებისთვის, რის შედეგადაც ექპსერტთა ჯგუფმა 1.5. შეაფასა როგორც - ,,არ შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს”, ხოლო 1 სტანდარტი კი - ,,არ შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს”.

შესაბამისობაში სტანდარტებთან იმიტომ, რომ 1.5 თუ დარჩებოდა შეუსაბამო სტანდარტთან, ის ვერ იქნებოდა ნაწილობრივ შესაბამისი.

ქსპერტმა, პიტერ ჯონკერსმა აღნიშნა, რომ წარმოდგენილი პროგრამა საჭიროებს ბევრი საკითხის გაუმჯობესებას. მისი თქმით, პროგრამა არ უნდა გაუქმდეს და განვითარებაზე უნდა იყოს ორიენტირებული. მისი თქმით, ექსპერტთა ჯგუფის შეფასებასა და უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილ თვითშეფასების დასკვნას შორის იყო დიდი შეუსაბამობა. დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასების ანგარიშში ჩანდა ის, რომ პროგრამას არავითარი ხარვეზი არ ჰქონდა და ყველაფერი წესრიგშია. მან ხაზი გაუსვა იმას, რომ გაუმჯობესების მიზნით ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა როგორც ფაკულტეტის, ისე უნივერსიტეტის დონეზე უნდა ითანამშრომლოს პროგრამის ხელმძღვანელებთან და ლექტორებთან, რათა მოხდეს პროგრამის სწრაფი გაუმჯობესება.

ხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება
აწყების დრო: 16:49
ასრულების დრო: 18:02
საბჭოს თავჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა:
სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის „თეოლოგიის“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის მინიჭების საკითხი.
ენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 12
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება: „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის ,,ბ“ ქვეპუნქტის, მე-3 პუნქტის, მე-5 პუნქტის, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, მე-3 პუნქტის, მე-9 პუნქტის, აკრედიტაციის დებულების 272 მუხლის პირველი პუნქტის, 27 მ 5 უხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის და მე-5 პუნქტის, 27 მუხლის პირველი პუნქტის „გ“ 6 ქვეპუნქტის, 33-ე მუხლის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ” სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის N223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის „თეოლოგიის“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭოს პირობითი აკრედიტაცია 2 წლის ვადით.

საბჭომ ნაწილობრივ გაიზიარა ექსპერტთა დასკვნაში ასახული შეფასება, კერძოდ, 1.2 და 1.4 ქვესტანდარტები ნაცვლად „ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“ განსაზღვრა, როგორც „შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“, ხოლო 1.5 ნაცვლად „არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან“ განსაზღვრა, როგორც „ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“. აღნიშნული ცვლილების შედეგად პირველი სტანდარტი ნაცვლად „არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან“ განისაზღვრა როგორც „ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“. ასევე, 4.1 და 4.4 ქვესტანდარტი ნაცვლად „შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“ განსაზღვრა როგორც „მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“, ხოლო 4.2 ქვესტანდარტი ნაცვლად „მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“ განსაზღვრა როგორც „შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“. შესაბამისად შეიცვალა მე-4 სტანდარტის შეფასება და ნაცვლად "შესაბამისია მოთხოვნებთან" შეაფასა, როგორც "მეტწილად შესაბამისია მითხოვნებთან". რაც შეეხება მეხუთე სტანდარტს არ შეცვლილა მთლიანი სტანდარტის შეფასება, თუმცა 5.1 ქვესტანდარტი ნაცვლად „მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“ განისაზღვრა, როგორც „ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“.

საბჭომ ექსპერტთა დასკვნაში ასახული რეკომენდაციები და რჩევები გაიზიარა და განსაზღვრა შემდეგნაირად:

რეკომენდაციები:

1. პროგრამამ უნდა აღმოფხვრას არათანმიმდევრულობა მისი მიზნების ზოგად აღწერასა და სადოქტორო პროგრამის გაცილებით უფრო კონკრეტულ აღწერას შორის. ეს უკანასკნელი უნდა იყოს წამყვანი პროგრამის მიზნების ზოგადი აღწერისთვის, რათა შესაბამისობაში მოვიდეს პროგრამისა და სასწავლო კურსების შინაარსთან.
2. კვლევების სრულფასოვანი განხორციელების და სადოქტორო პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევის მიზნით რეკომენდირებულია დაემატოს სასწავლო კურსი ძველ ქართულ ენაში.
3. პროგრამამ კრიტიკულად უნდა შეხედოს ქართული ეკლესიის ისტორიის დოქტორანტურისთვის არსებითი მნიშვნელობის მქონე უნარებსა და კომპეტენციებს და ინდივიდუალური კურსების შინაარსის ადაპტაცია მოახდინოს შესაბამისად.
4. ექსპერტთა ჯგუფი რეკომენდაციას იძლევა, რომ პროგრამამ შეიმუშაოს მასზე დაშვების მეტად ზუსტი და მკაცრი მოთხოვნები იმ სტუდენტებისთვის, რომელთაც არ აქვთ მაგისტრის ხარისხი თეოლოგიაში. კერძოდ, პროგრამაში უნდა იყოს მითითებული, თუ თეოლოგიისა და მეთოდოლოგიური კურსების რამდენი ECTS არის საჭირო, რომ სტუდენტი დაიშვას პროგრამაზე.
5. რეკომენდებულია, შემუშავდეს დეტალური კრიტერიუმები პროგრამაზე დასაშვებად წარსადგენი კვლევითი პროექტის შეფასებისთვის.

6. პროგრამაზე დაშვების შესახებ ყველა საჭირო ინფორმაცია უნდა განთავსდეს ვებგვერდზე თანმიმდევრულად (არ უნდა იყოს სხვაობა ქართულ და ინგლისურენოვან ინფორმაციას შორის).
7. ექსპერტთა ჯგუფის რეკომენდაციაა, პროგრამამ გადაჭრას კვლევის პროექტთან დაკავშირებული არათანმიმდევრულობის საკითხი.
8. უსდ-მ მხედველობაში უნდა მიიღოს, რომ სულ მცირე, ერთ საერთაშორისო კონფერენციაში, ფორუმში, კონგრესზე ან სიმპოზიუმში მონაწილეობა დოქტორანტისთვის სავალდებულო იყოს.
9. უნივერსიტეტმა უნდა გაზარდოს სტრუქტურული თანამშრომლობა თეოლოგიურ დაწესებულებებთან, ქვეყნის შიგნით და გარეთ.
10. სტუდენტები მეტად ჩართულები უნდა იყვნენ სამეცნიერო/კვლევით/შემოქმედებით პროექტებში (როგორც ადგილობრივ, ისე საერთაშორისო დონეზე), პროგრამის სწავლის შედეგების შესაბამისად.
11. უნდა გაუმჯობესდეს სტუდენტის შეფასების შედეგების ანალიზი;
12. სადისერტაციო ნაშრომის შეფასებაში, რეკომენდებულია, ჩართული იყოს უსდ-ს გარედან მოწვეული დარგის სპეციალისტი (იხილეთ 4.2 სტანდარტის რეკომენდაციაც).
13. რეკომენდირებულია სასწავლო კურსებში გადაიხედოს შეფასების კომპონენტი, შეფასების კრიტერიუმები და ფორმატი შესაბამისობაში მოვიდეს კურსის მიზნებთან და მისაღწევ შედეგებთან.
14. ამ პროგრამაში დასაქმებული ისტორიის ან თეოლოგიის დოქტორის ხარისხის მქონე (ასოცირებული) პროფესორების მცირე რაოდენობის გათვალისწინებით, ექსპერტთა ჯგუფი რეკომენდაციას უწევს მეტი აფილირებული ხელმძღვანელის დასაქმებას პროგრამაში.
15. რეკომენდებულია, სასწავლო კურსებში, მათი მიზნებიდან და შინაარსიდან გამომდინარე, განახლდეს სავალდებულო ლიტერატურა.
16. აკადემიურმა პერსონალმა და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა მეტად ეფექტურად უნდა ითანამშრომლონ, რათა ჩაატარონ ყოვლისმომცველი თვითშეფასებები და ჩამოაყალიბონ ზუსტი და დეტალური თვითშეფასების ანგარიში, რომელიც განსაზღვრავს პროგრამის ძლიერ და გასაუმჯობესებელ მხარეებს და უფრო მეტად თვითკრიტიკულია ვიდრე აღწერითი ხასიათის.
17. საჭიროა შემუშავდეს სასწავლო პროცესის ელექტრონულად/დისტანციურად განხორციელების მეთოდოლოგია. დაწესებულებამ უნდა უზრუნველყოს შიდა ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების ადაპტაცია და მათი სათანადო განხორციელება ელექტრონული/დისტანციური სასწავლო პროცესის მონიტორინგისა და შეფასებისთვის.
18. პერიოდულად უნდა ჩატარდეს კოლეგიალური განხილვა ადგილობრივი და უცხოელი კოლეგების მიერ, გარე განვითარების მიზნით.
19. პროგრამამ უნდა ჩაატაროს დოქტორანტების სპეციალური გამოკითხვა, რათა უზრუნველყოს სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტისა და სამეცნიერო ხელმძღვანელობის განხორციელების ანონიმური შეფასება.
20. უნდა ჩატარდეს სამიზნე ნიშნულებთან შედარება და სადოქტორო პროგრამა პერიოდულად უნდა შედარდეს უცხოურ უნივერსიტეტებში არსებულ მსგავს პროგრამებს.

რჩევები:

1. ქართული ეკლესია მნიშნელოვან როლს ასრულებს ქართულ საზოგადოებაში და დაცულია კონსტიტუციით. თეოლოგიისა და ზოგადად ქართული ეკლესიის მომავლისთვის, ექსპერტთა ჯგუფის რჩევაა, რომ თეოლოგიის მიმართულების ქართულმა უსდ-ებმა, მათ შორის სემინარიებმა, შექმნან ერთობლივი კვლევითი სკოლა, სადაც თავს

მოიყრის შესავალი და მეთოდოლოგიური კურსები და ტრენინგები თეოლოგიის დოქტორანტებისთვის.

2. ამ პროგრამაზე სტუდენტთა მიღების მაჩვენებელი დაბალია (გასაუბრების დროს მოწოდებული ინფორმაციის თანახმად, ამჟამად პროგრამაზე ირიცხება 9 სტუდენტი) და პროგრამაზე დასაქმებულია მხოლოდ 5 პროფესორი (ასოცირებული) საქართველოს ეკლესიის ისტორიის დარგში. კვლევითი სკოლის დაარსება დოქტორანტებს ერთმანეთთან კომუნიკაციის შესაძლებლობას მისცემს, შეეძლებათ თეოლოგიის სხვა დარგებისა და დარგის სხვა მიდგომების გაცნობა და საკუთარი კვლევების ნაწილის წარდგენა. გარდა ამისა, ასეთი სკოლა შესაძლებლობას აძლევს ყველა ამ უსდ-ს აკადემიურ პერსონალს რომ გაცვალონ ერთმანეთში იდეები და გამოცდილებები საკუთარი კვლევის სფეროდან; გარდა ამისა ეს ქმნის ერთობლივი კვლევითი პროექტების შემუშავების შესაძლებლობას, სადისერტაციო ნაშრომის ხელმძღვანელობასა და შეფასებაში დახმარების გარედან მიღებას და ა.შ. (იხილეთ რეკომენდაცია 4.2).
3. პროგრამის საერთაშორისო არეალის გაუმჯობესების მიზნით, ექსპერტთა ჯგუფის რჩევაა, რომ სულ მცირე ერთი კურსი მაინც ისწავლებოდეს ინგლისურ ენაზე.
4. ამავე მიზეზით, სტუდენტები უნდა წახალისდნენ, რომ სულ მცირე ერთი კვლევითი ნაშრომი მაინც დაწერონ ინგლისურად.
5. პროგრამამ უნდა შეიმუშაოს ინტერნაციონალიზაციის სტრატეგია, არამხოლოდ საეკლესიო კონტაქტების გაძლიერებით, არამედ სხვა უნივერსიტეტებთან კონტაქტითაც.
6. პროგრამაზე დაშების მოთხოვნების გამკაცრებასთან დაკავშირებული რეკომენდაციის რეალიზება შესაძლებელია წინასწარი პროგრამის შემუშავებით, რომელშიც იქნება შესავალი კურსები თეოლოგიასა და მეთოდოლოგიაში, რათა ამით მოხდეს ამ სფეროში სტუდენტთა ცოდნის ნაკლებობის კომპენსაცია. სადოქტორო პროგრამის არსებული კურსების ელემენტების გამოყენება შეიძლება ამის განსახორციელებლად.
7. წარდგენამდე უსდ-მ სათანადოდ უნდა გადახედოს დოკუმენტებს, რადგან ზოგიერთი ქართულენოვანი დოკუმენტის შინაარსი ინგლისური ვერსიის იდენტური არ არის.
8. ექსპერტთა ჯგუფის რჩევაა, რომ პროგრამის სასწავლო ნაწილში შევიდეს ძველი ქართულის სწავლება. ეს უნდა შეფასდეს სამართლიანად და გამჭვირვალედ.
9. ექსპერტთა ჯგუფის რჩევაა, რომ პროგრამამ ხელი შეუწყოს დოქტორანტების ენობრივი უნარებისა და კომპეტენციების განვითარებას.
10. ექსპერტთა ჯგუფის რჩევაა, პროგრამაში განხორციელდეს მეტი ინიციატივა სტუდენტების საერთაშორისო კონფერენციებსა თუ გაცვლით პროგრამებში ჩართვის მიზნით.
11. ექსპერტთა ჯგუფის რჩევაა, რომ დაინერგოს თეოლოგიის კვლევითი სკოლა საქართველოში, სადაც ამავე დარგის (თეოლოგია) ყველა ქართული უსდ-ს დოქტორანტები მიიღებენ მონაწილეობას, იმსჯელებენ წინსვლასა და საკუთარი კვლევების შედეგებზე, ფორმალურად თუ არაფორმალურად.
12. პროგრამამ მეტი ყურადღება უნდა დაუთმოს ინგლისური ენის სრულყოფილად ცოდნის დონეს, მომავალში აკადემიური პერსონალის დაქირავებისას.
13. პროგრამამ უნდა წაახალისოს აკადემიური პერსონალი და ხელი შეუწყოს, რომ ნაშრომები გაიტანონ საერთაშრისო კონფერენციებზე.
14. ექსპერტთა ჯგუფის რჩევაა, რომ პროგრამამ მეტი ინვესტიცია (ფინანსური) ჩადოს აკადემიური პერსონალის საერთაშორისო გამოცდილების გასაუმჯობესებლად, რამეთუ ეს წარმოადგენს პროგრამის, ისევე როგორც სტუდენტების ინტერნაციონალიზაციის მასტიმულირებელ საშუალებას.
15. ექსპერტთა ჯგუფის რჩევაა, რომ პროგრამამ მეტი ინვესტიცია (ფინანსური) ჩადოს აკადემიური პერსონალის საერთაშორისო გამოცდილების გასაუმჯობესებლად, რამეთუ ეს წარმოადგენს პროგრამის, ისევე როგორც სტუდენტების ინტერნაციონალიზაციის მასტიმულირებელ საშუალებას.

16. ექსპერტთა ჯგუფის რჩევაა, რომ პროგრამამ აწარმოოს უფრო დეტალური ინფორმაცია საკუთარ შემოსულობებსა და ხარჯებზე.
17. აკადემიური და მოწვეული პერსონალის მიერ სწავლება უნდა შეფასდეს წინასწარ განსაზღვრული საკლასო ოთახის დაკვირვების შაბლონის გამოყენებით.

3.მესამე საკითხი: სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის "საკვები პროდუქტების გადამუშავებისა და სამაცივრო ტექნოლოგიის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

№	**ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ**	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	საკვები პროდუქტების გადამუშავება და სამაცივრო ტექნოლოგია
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	პირობით აკრედიტებული
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	2021 წლის 7 ივლისი MES 1 21 0000690260
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	საკვები პროდუქტების წარმოება-გადამუშავებისა და სამაცივრო მოწყობილობები
6	უმაღლესი განათლების საფეხური	ბაკალავრიატი
7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე	6
9	კვალიფიკაციის დასახელება	ინჟინერიის ბაკალავრი სასურსათო ტექნოლოგიაში
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	სურსათის გადამუშავება 0721
12	სწავლების ენა	ქართული
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	240
14	განხორციელების ადგილი	მ. კოსტავას ქ. 68, თბილისი, საქართველოსტექნიკურიუნივერსიტეტი, სასწავლოკორპუსიN I, 0175 საქართველო
15	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა	-

	საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება
√ არა
საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება
√ კი
აცილება განაცხადა ეკატერინე შაკიაშვილმა
აცილების საფუძველი: შრომითი ურთიერთობის არსებობა დაწესებულებასთან.
საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.
საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.
მესამე საკითხის ზეპირი მოსმენა
ექსპერტების პოზიციის განხილვა
საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.
ექსპერტთა ჯგუფის თავჯდომარე, თამარ სანიკიძე მიესალმა დამსწრე საზოგადოებას და აღნიშნა, რომ სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სატრანსპორტო და მანქანათმშენებლობის ფაკულტეტზე 2021 წლამდე ხორციელდებოდა რამოდენიმე პროგრამა მრეწველობის დარგში: ”კვების საწარმოთა პროცესები და აპარატები“ და „სამაცივრო მოწყობილობები და ტექნოლოგიები“. მისი თქმით, როგორც უსდ-ს მიერ მოწოდებული დოკუმენტაციიდან ირკვევა, უსდ-ს სატრანსპორტო და მანქანათმშენებლობის ფაკულტეტის საბჭოსა და აკადემიური საბჭოზე, აკრედიტებული საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2012 წლის 24 სექტემბრის N426 გადაწყვეტილებით, დამტკიცდა საგანმანათლებლო პროგრამა „კვების ინდუსტრიის ინჟინერია და ტექნოლოგიები“, ხოლო სამრეწველო ინჟინერიისა და ტექნოლოგიების პროგრამაში, საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2012 წლის 24 სექტემბრის N426 გადაწყვეტილებით, მოდულის სახით დაემატა „სამაცივრო ტექნიკა და ტექნოლოგია“. მისი თქმით, 2020 წელს უსდ-მ რეაკრედიტაციაზე წარადგინა სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში გარკვეული ცვლილებებით. 2021 წლის 7 ივლისის გადაწყვეტილებით საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭა პირობითი აკრედიტაცია 1,6 თვით შესაბამისი განსაზღვრული რეკომენდაციებით. მან აღნიშნა, რომ პროგრამა მოიცავს სავალდებულო და არჩევით კომპონენტებს. თავად სავალდებულო კომპონენტები შედგება ძირითადი და არჩევითი სასწავლო კურსებისგან. ძირითადი სასწავლო კურსებით სტუდენტი გადის ზოგად ტექნიკურ, მიკრობიოლოგიურ საგნებს. სტუდენტს ეძლევა შესაძლებლობა 4 სემესტრის მანძილზე შეისწავლოს უცხო ენა გაძლიერებულად. პროგრამის ფარგლებში სავალდებულოა საწარმოო პრაქტიკის გავლა და საბაკალავრო ნაშრომის შესრულება. საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა „საკვები პროდუქტების გადამუშავება და სამაცივრო ტექნოლოგია“ შედგენილია აკრედიტაციის სტანდარტების მოთხოვნების შესაბამისად. პროგრამა მოიცავს 240 კრედიტს (ერთი კრედიტი შეესაბამება 25 საათს). პროგრამის ხანგრძლივობა არის 4 წელი (რვა სემესტრი) პროგრამის განხორციელებაში ჩართულია 20 პროფესორი, 16 ასოცირებული პროფესორი და 2 ასისტენტ პროფესორი. თამარ სანიკიძემ აღნიშნა, რომ ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაიცა 3 რეკომენდაცია და 8 რჩევა. მისი თქმით, პირველი რეკომენდაციაში იგულისხმება ის, რომ

პროგრამის სწავლის შედეგების შეფასებისთვის განისაზღვროს კონკრეტული არაპირდაპირი შეფასების მეთოდები და მათი სამიზნე ნიშნულები, ასევე, პროგრამის სწავლის შედეგების პირდაპირი შეფასების მეთოდებად განისაზღვროს კონკრეტული დავალება, ნაშრომი, შეფასების კომპონენტი. მეორე რეკომენდაციის მიხედვით, გაძლიერდეს ძალისხმევა საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის საქმიანობის შეფასებისა და შეფასების შედეგების პერსონალის პროფესიული განვითარებისთვის გამოყენების მიმართულებით. მესამე რეკომენდაციაში იგულისხმება ის, რომ პროგრამული ბიუჯეტი გადაიხედოს თანხების განაწილების კუთხით, მათ შორის პერსონალის პროფესიული განვითარებისთვის საჭირო ფინანსური რესურსები, ასევე სტუდენტური აქტივობების განვითარებისთვის საჭირო ფინანსები. თამარ სანიკიძემ ხაზი გაუსვა იმას, რომ ექსპერტთა დასკვნის პროექტი გაზიარებული იქნა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებისათვის. დაწესებულებამ წარმოადგინა არგუმენტირებული პოზიცია, რომელსაც იზიარებს ექსპერტთა ჯგუფი.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს წარმოედგინათ მოსაზრებები.

დაწესებულების წარმომადგენელმა დავით მახვილაძემ მადლობა გადაუხადა ექსპერტთა ჯგუფს გაწეული შრომისთვის. მისი თქმით, მისაღებია დაწესებულებისთვის გაცემული რეკომენდაციები და რჩევები. გივი გოლეთიანმა აღნიშნა, რომ "საკვები პროდუქტების გადამუშავებისა და სამაცივრო ტექნოლოგიის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის მიზანია მოამზადოს კვალიფიციური კადრები ინჟინერიის დარგში ამ პროგრამის ფარგლებში. მისი თქმით, აღნიშნული მიზნის მისაღწევად ძირითადი ყურადღება დაეთმო იმ გამოცდილებების გაცნობას, რომელიც არის ევროპის წამყვან უნივერსიტეტებში დანერგილი. შესწავლილი იქნა სასურსათო ინჟინერიის საბაკალავრო პროგრამები ევროპის 11 უნივერსიტეტში. გარდა ამისა, დაწესებულების მიერ შედგენილი პროგრამა განხილული იქნა საქართველოში დარგის 12 წამყვან ორგანიზაციაში და გამოთქმული იქნა შენიშვნები, მოსაზრებები, რომელიც გათვალისწინებული იქნება პროგრამის შედგენის დროს. მისი თქმით, პროგრამა განხილული იქნა სტუდენტებთან, დამსაქმებლებთან და მეცნიერებთან. ამ დარგში სამომხმარებლო ბაზარზე დიდია მოთხოვნაა ინჟინერიის კვალიფიკაციის სპეციალისტებზე. ეს გამოწვეულია იმით, რომ კვების მრეწველობის ყველა საწარმოში არის ავტომატიზირებული დანადგარები და იქ ხელით შრომა გამორიცხულია. მანქანა-დანადგარები, რომლებიც გამოიყენება მათზე მიმდინარეობს ტექნოლოგიური პროცესი, რომლის ცოდნისათვის საჭიროა უნივერსიტეტმა აღზარდოს შესაბამისი კვალიფიკაციის კადრები. მან ხაზი გაუსვა იმას, რომ საკვები პროდუქტი როგორც მცენარეული, ისე ცხოველური წარმოშობის არის მალფუჭებადი. შესაბამისად, ევროპის ბევრ უნივერსიტეტების სასურსათო ინჟინერიის საბაკალავრო პროგრამაში დიდი ყურადღება ეთმობა ხელოვნური სიცივის და პროდუქციის გადამუშავების დროს სიცივის გამოყენების ტექნოლოგიური საკითხების შესწავლას. აღნიშნული საკითხი განხილული იქნა საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში დარგის სპეციალისტებთან „საქართველოს მემაცივრე ასოციაციის“ წევრებთან. მისი თქმით, პროგრამაში ჩადებულია 4 საგანი, რომელიც საშუალებას აძლევს ბაკალავრის სტუდენტს წარმოდგენა შეიქმნას კვების პროდუქტების გადამუშავებისა და ცივად შენახვის ტექნოლოგიაზე. გარდა ამისა, პროგრამა ეკონომიურად მდგრადი არ იყო, რადგან ის იყო ავტორიზებული. აკრედიტაციის მინიჭების შემდეგ პროგრამამ დაიწყო სრული ფუნქციონირება და გამოაცხადა 20 ადგილი სტუდენტთა მიღების, რომელიც სრულად შეივსო. გივი გოლეთიანმა ხაზი გაუსვა იმას, რომ პროგრამაზე დასაქმებულია დარგის წამყვანი სპეციალისტები. ის რეკომენდაციები, რომლებიც გაიცა დაწესებულება იზიარებს.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ მოსაზრებები.

საბჭოს თავჯდომარემ, გოდერძი ბუჩაშვილმა კითხვა დაუსვა დაწესებულებასა და ექსპერტებს. მას აინტერესებდა, რითი აიხსნება ის გარემოება, რომ კურსდამთავრებულთა დასაქმების მაჩვენებელი კვალიფიკაციის მიხედვით მხოლოდ 52%-ია. ექსპერტთა ჯგუფის თავჯდომარემ, თამარ სანიკიძემ უპასუხა, რომ პროგრამა მოითხოვს ბაკალავრის სტუდენტის პრაქტიკული უნარების გამომუშავებასა და ხელშესახები ადგილების მონახვას. მისი თქმით, ეს ყველაფერი არის ძვირადღირებული სიამოვნება. სტუდენტი ბაკალავრიატის პროგრამის დამთავრების შემდეგ დასაქმებისას ახლიდან იწყებს პრაქტიკული უნარების გამომუშავებას იმიტომ, რომ ტექონლოგიები ყოვლედღე ვითარდება და იცვლება, თუმცა თეორიული საფუძველი უკვე აქვს მას, რომელიც დაეხმარება პროფესიულ განვითარებასა და გადამზადებაში. მან აღნიშნა, რომ პრაქტიკის კომპონენტი პროგრამაში სწავლის შედეგებიდან გამომდინარე აკმაყოფილებს. უნივერსიტეტი თუ დაამატებს კვალიფიკაციის ამაღლების მიმართულებას, რომელიც ბაკლავრიატის სტუდენტებისთვის იქნება ხელმისაწვდომი, რა თქმა უნდა, ამით მათ გამოუმუშავდებათ პრაქტიკული უნარები. მისი თქმით, დღეს სტუდენტს აკლია პრაქტიკული გამოცდილება და აქედან გამომდინარე ყველა ბიზენსოპერატორს სჭირდება ისეთი გამოცდილი ადამიანი, რომელიც შეძლებს თეორიული ცოდნის პრაქტიკაში გამოყენებას. ამიტომ არის დასაქმების მხოლოდ 52%-ი. თამარ სანიკიძემ აღნიშნა, რომ დამსაქმებელი საკუთარ თავზე იღებს კურსდამთავრებულის გადამზადების პასუხისმგებლობას, რათა კონკრეტულ დანადგარებთან ჰქონდეთ მათ გამოცდილება. დაწესებულების წარმომადგენელმა გივი გოლეთიანმა აღნიშნა, რომ ამ მიმართულებით პროგრამას არ გააჩნია შესაბამისი ფინანსები, რომ ეს პრობლემა გადაჭრას. მისი თქმით, დაწესებულებამ შეძლო უცხოელ პარტნიორებთან ურთიერთობის დამყარება. ხელშეკრულება გაფორმდა გერმანულ და დანიურ ფირმებთან, რომლებმაც გამოაგზავნეს სტენდები, რომლის საშუალებითაც მოხდება დისტანციური მართვა საქართველოში არსებულ ყველა სამაცივრე სისტემაზე. მისი თქმით, მარტის ბოლოს დაგეგმილია ისეთი ცენტრის შექმნა ტექნიკურ უნივერსიტეტის, ფაკულტეტისა და პროგრამის ბაზაზე, რომელიც ხელს შეუწყობს იმ ყველა მოწინავე გამოცდილების დანერგვას, რომელიც დღეს ევროპის წამყვან უნივერსიტეტებშია. გარდა ამისა, ეს ხელს შეუწყობს საქართველოში ყველა სამაცივრო ორგანიზაციებთან კონტაქტის დამყარებაში. მან ხაზი გაუსვა იმას, რომ პანდემიამ გამოიწვია კვების ობიექტების დახურვა და სტუდენტთა შემცირება დასაქმებულ ადგილას. მისი თქმით, დაწესებულება შეეცდება მომავალი წლიდან აღადგინოს ის ძველი ტრადიცია, რომელიც აქამდე იყო. საბჭოს წევრმა ირინა გველესიანმა კითხვა დაუსვა დაწესებულებას. მას აინტერესებდა, როგორია ანტიპლაგიატის პროგრამაში საბაკალავრო ნაშრომის შემოწმების მოქმედი წესი. დაწესებულების წარმომადგენელმა დავით მახვილაძემ უპასუხა, რომ ანტიპლაგიატთან დაკავშირებით არსებობს ფინანსური პრობლემა. მისი თქმით, იმ პროგრამას რომელსაც იყენებს საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი პლაგიატის წინააღმდეგ მისი შეძენა დაკავშირებულია დიდი თანხებთან. არსებობს უფასო პროგრამაც, მაგრამა ამას არ გამოიყენებს დაწესებულება. ხარისხის უზრუნველყოფის კუთხით მთავარ პრობლემას წარმოადგენს არსებულ გამოუქვეყნებელ ნაწერების ნაწილში პლაგიატი, რომელსაც ვერცერთი პროგრამა ვერ უზრუნველყოფს მის შემოწმებას. მისი თქმით, სპეციფიურობა საბაკალავრო ნაშრომების შესრულების დროს, აკადემიური კეთილსინდისიერების ჭრილში განსხვავდება მაგისტრატურისაგან და დოქტორანტურისაგან. კვლავ რჩება გაძლიერებული ადამიანური რესურსის მექანიზმი და მეხსიერება, რომელიც შეიძლება ადამიანს ჰქონდეს შესრულებულ ნაშრომებთან მიმართებაში. გარდა ამისა, დაწესებულებაში ფუნქციონირებს შიდა აუდიტის სამსახურის სპეციალური ჯგუფი, რომელიც ამოწმებს პლაგიატიზმს. საბჭოს წევრმა გურანდა ჭელიძემ კითხვა დაუსვა ექსპერტთა ჯგუფს. მისი თქმით, ექსპერტებს რჩევაში ჰქონდათ შემდეგი: „სასურველია ანტიპლაგიატის პროგრამის გამოყენებით გადამოწმება მოხდეს საბაკალავრო ნაშრომების“. მას აინტერსებდა, ეს არის რჩევა თუ უნდა იყოს რეკომენდაციის სახით. გარდა ამისა, დაწესებულება ფიქრობს თუ არა პროგრამაზე ისწავლებოდეს სამართლებრივი საკითხები, რომელიც უკავშირდება ასოცირების შეთანხმების იმპლემენტაციას საქართველოს კანონმდებლობაში. ექსპერტთა ჯგუფის

თავჯდომარემ, თამარ სანიკიძემ აღნიშნა, რომ ეს უნდა იყოს ამ ეტაპზე რჩევის სახით, რადგან პლაგიატის წინააღმდეგ წასვლა დიდი თანხებთან არის დაკავშირებული. მისი თქმით, პროგრამა არის საინჟინრო მიმართულების და მნიშვნელოვანი იქნება შრომის უსაფრთხოების დანერგვა იმიტომ, რომ კურსდამთავრებულს დანადგარებთან აქვს კონტაქტი. საბჭოს წევრმა ნინო ჭალაგანიძემ კითხვა დაუსვა დაწესებულებას. მისი თქმით, პროგრამაში ჩართული განმახორციელებელი პერსონალის ასაკი პროგრამის განვითარებისა და მდგრადობისთვის არის კრიტიკული. მას აინტერესებდა, როგორ ახერხებს დაწესებულება ასაკთან დაკავშირებული პრობლემების პრევენცირებას. დაწესებულების წარმომადგენელმა ოთარ გელაშვილმა აღნიშნა, რომ ამ ეტაპზე ორი მაგისტრანტი არის აყვანილი ლაბორანტის რანგში და ისინი მუშაობენ სამაგისტრო ნაშრომზე. გარდა ამისა, მომავალში გააგრძელებენ სწავლას სადოქტორო საფეხურზე. მისი თქმით, ფაკულტეტი ზრუნავს მომავალი თაობის აღზრდაზე და გამოყოფილია სამუშაო ადგილები ამ მიმართულებით მაგისტრატურასა და დოქტორანტურაში. დავით მახვილაძემ აღნიშნა, რომ უნივერსიტეტი ზრუნავს მათზე მორგებულ გრაფიკზე და მინიმალური დატვირთვით ცდილობს სტუდენტს შეაყვაროს უნივერისტეტი. მისი თქმით, 70 ახალგაზრდა აკადემიურ თანამდებობაზე მუშაობს საინჟინრო მიმართულებით. ეს იმას ნიშნავს, რომ დასაქმების მაჩვენებელი 8-ჯერ არის გაზრდილი. გივი გოლეთიანმა გურანდა ჭელიძის კითხვას უპასუხა. მან აღნიშნა, რომ არის ისეთი საგნები, რომლებშიც განიხილება სამართლებრივი საკითხები. ესენია: „სასურსათო პროდუქტების იდენტიფიკაცია და ფალსიფიკაცია“, „კვების პროდუქტების წარმოების ჰიგიენის საფუძვლები“ და „სტანდარტიზაცია და სერთიფიკაცია“.

ხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება

აწყების დრო: 18:52

ასრულების დრო: 19:02

საბჭოს თავჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა:

სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის "საკვები პროდუქტების გადამუშავებისა და სამაცივრო ტექნოლოგიის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის მინიჭების საკითხი.

ენჭისყრის შედეგი:

მომხრე - 12

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის “ა” ქვეპუნქტისა, მე-3 და მე-4 პუნქტების, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 და მე-8 პუნქტების, აკრედიტაციის დებულების მუხლის პირველი პუნქტის, მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და მე-5 პუნქტის, 27 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ 6 ქვეპუნქტის, 33-ე მუხლის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ” სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის № 223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის "საკვები პროდუქტების გადამუშავებისა და სამაცივრო ტექნოლოგიის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭა აკრედიტაცია კლასტერის ვადით 1 წლის თავზე ანგარიშის წარმოდგენის პირობით.

სააკრედიტაციო განაცხადის, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე აკრედიტაციის მაძიებლის მიერ ცენტრისთვის წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიციის, ასევე, სხდომაზე დაინტერესებული მხარის ზეპირი პოზიციის მოსმენის საფუძველზე, საბჭომ სრულად გაიზიარა ექსპერტთა დასკვნაში ასახული რჩევები და რეკომენდაციები.

საბჭომ ექსპერტთა დასკვნაში ასახული რეკომენდაციები განსაზღვრა შემდეგნაირად:

რეკომენდაციები:

1. რეკომენდებულია, პროგრამის სწავლის შედეგების შეფასებისთვის განისაზღვროს კონკრეტული არაპირდაპირი შეფასების მეთოდები და მათი სამიზნე ნიშნულები, ასევე, პროგრამის სწავლის შედეგების პირდაპირი შეფასების მეთოდებად განისაზღვროს კონკრეტული დავალება/ნაშრომი/შეფასების კომპონენტი.
2. გაძლიერდეს ძალისხმევა საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის საქმიანობის შეფასებისა და შეფასების შედეგების პერსონალის პროფესიული განვითარებისთვის გამოყენების მიმართულებით.
3. აუცილებელია პროგრამული ბიუჯეტი გადაიხედოს თანხების განაწილების კუთხით, მათ შორის პერსონალის პროფესიული განვითარებისთვის საჭირო ფინანსური რესურსები, ასევე სტუდენტური აქტივობების განვითარებისთვის საჭირო ფინანსები.

რჩევები

1. სასურველია პროგრამაში წარმოდგენილი მიზანი ჩაიშალოს რამდენიმე მიზნად (3-4), რაც უფრო გააადვილებს პროგრამის მიზნის უკეთ გააზრებას და ასევე შედეგების რუკის წაკითხვას.
2. სასურველია რამდენიმე შედეგის გაერთიანება-გამსხვილება, რაც გააადვილებს შედეგების რუკის წაკითხვას.
3. სასურველია გადაიხედოს საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავების, შეფასებისა და განვითარების წესი, რათა სასწავლო კურსის პედაგოგებს მიეცეთ მეტი თავისუფლება და სილაბუსებში გაიწეროს წარმოდგენილი ლაბორატორიული და პრაქტიკული სამუშაოების შეფასება.
4. სასურველია, პრაქტიკის დღიური მოიცავდეს სტუდენტის მიერ შესრულებული სამუშაოს უფრო დეტალურ აღწერას.
5. სასურველია, საბაკალავრო ნაშრომი შემოწმდეს აკადემიური კეთილსინდისიერების სტანდარტებსა და აკადემიური გაფორმების სტილთან შესაბამისობაზე ანტიპლაგიატის პროგრამის გამოყენებით.
6. სასურველია, გაიზარდოს სტუდენტთა ჩართულობა კონფერენციებსა და კვლევით პროექტებში.
7. სასურველია უსდ-მ და ფაკულტეტმა შექმნან ეფექტური მექანიზმი სტუდენტების უსდ-ს სხვადასხვა კორპუსებში ლაბორატორიულ სივრცეებში ეფექტური მუშაობისთვის, რაც ხელს შეუწყობს სტუდენტებისთვის მდგრადი პრაქტიკული/ლაბორატორიული სასწავლო გარემოს შექმნას.
8. სასურველია, რომ შემდგომში უსდ-ს მიერ იყოს მხარდაჭერილი მატერიალურ-ტექნიკური ბაზის ეტაპობრივი განახლების ინიცირება და ბიუჯეტში მიზნობრივად გაწერა.

4.მეოთხე საკითხი: სსიპ- ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის „ფილოსოფიის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

№	**ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ**	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	ფილოსოფია
2		-

	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	
3	სტატუსი	აკრედიტებული
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	04.11.2011 N242
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	ფილოსოფია
6	უმაღლესი განათლების საფეხური	ბაკალავრიატი
7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე	6
9	კვალიფიკაციის დასახელება	ჰუმანიტარული მეცნიერებების ბაკალავრი ფილოსოფიაში
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	ფილოსოფია და ეთიკა - 0223
12	სწავლების ენა	ქართული
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	240
14	განხორციელების ადგილი	6010, ბათუმი, ნინოშვილის ქ. 35, უნივერსიტეტის I კორპუსი, საქართველო
15	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	-

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოსწევრ(ებ)ის აცილება

√ არა

საბჭოსწევრ(ებ)ის თვითაცილება

√ კი

აცილება განაცხადა თამარ სირაძემ, ნინო ჭალაგანიძემ, თეა მჭედლურმა და მაკა კაჭარავამ

აცილების საფუძველი: შრომითი ურთიერთობის არსებობა დაწესებულებასთან.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას,

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.
საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

მეოთხე საკითხის ზეპირი მოსმენა

ექსპერტების პოზიციის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.

ექსპერტთა ჯგუფის თავჯდომარე, მაკა ლაშხია მიესალმა დამსწრე საზოგადოებას და აღნიშნა, რომ ექსპერტთა ჯგუფის მიერ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის "ფილოსოფიის" შეფასება განხორციელდა 2022 წლის 15 ნოემბერს, ბათუმში. მისი თქმით, საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება მოხდა თითოეული სტანდარტის შესაბამისად. წინასწარი დღის წესრიგის საფუძველზე განხორციელდა შეხვედრები თითოეულ ორგანოსთან, რომელიც საჭირო იყო სტანდარტების შეფასებისთვის. მან აღნიშნა, რომ დასკვნის პროექტში წარმოდგენილ რეკომენდაციებს ნაწილობრივ დაეთანხმა დაწესებულება. რამდენიმე რეკომენდაცია გაუქმდა და გადატანილი იქნა რჩევაში. უნივერსიტეტში სტუდენტთა რეგისტრაციისა და სასწავლო პროცესის მართვის ხელშეწყობის მიზნით მოქმედებს სტუდენტური პორტალი. მათი დახმარებით სტუდენტებს აქვთ ინფორმაცია სიახლეების შესახებ და უკუკავშირის შესაძლებლობა. მაკა ლაშხიას თქმით, რეკომენდაციები ეხებოდა სილაბუსებსა და ბათუმის უნივერსიტეტში ფილოსოფიის საბაკალავრო პროგრამის განმახორციელებლ აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს. პირველი რეკომენდაციის მიხედვით, რეკომენდებულია კურიკულუმის რუკა პროგრამის აკადემიური გუნდის მიერ უფრო დეტალურად იქნას შესწავლილი, რაშიც მოიაზრება თითოეულ სწავლის შედეგზე გამსვლელი სავალდებულო სასწავლო კურსის დაზუსტება, მათი რაოდენობის შემცირება და შინაარსობრივი უზუსტობების აღმოფხვრა. მეორე რეკომენდაციის მიხედვით, რეკომენდებულია მკაცრად განისაზღვროს თითოეული კურსისთვის საკონტაქტო საათების რაოდენობა მათი სპეციფიკის გათვალისწინებით. მისი თქმით, მესამე რეკომენდაცია გაიცა იმ საკითხთან დაკავშირებით, რომ სასწავლო სილაბუსებში შეფასების კრიტერიუმი მორგებულ იქნას კურსის სპეციფიკასთან. მეოთხე რეკომენდაციის მიხედვით, რეკომენდებულია ფილოსოფიის საბაკალავრო პროგრამის ზოგიერთ სილაბუსში დაზუსტდეს ძირითადი და დამატებითი ლიტერატურის სია და მეხუთე რეკომენდაციის მიხედვით კი რეკომენდებულია, ფაკულტეტისა და ცენტრალური ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურებმა მინიმუმამდე დაიყვანონ სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმებში არსებული ხარვეზები და ამ მიზნით, გააქტიურონ მუშაობა პროგრამის აკადემიურ გუნდთან ტრენინგებისა თუ სამუშაო შეხვედრების ფარგლებში.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს წარმოედგინათ მოსაზრებები.

დაწესებულების წარმომადგენელი ვლადიმერ ღლონტი მიესალმა დამსწრე საზოგადოებას და აღნიშნა, რომ სააკრედიტაციო ჯგუფის მიერ მომზადებულ დასკვნას უნივერსიტეტი, ფაკულტეტის ადმინისტრაცია და აკადემიური პერსონალი იზიარებს და გაწეული შრომისთვის მადლობას უხდის პროცესში ჩართულ ექსპერტთა ჯგუფს. მისი თქმით, დასკვნაში აღნიშნულ რეკომენდაციებთან მიმართებით აკადემიურ პერსონალს აქვს თავისი მოსაზრებები, თუმცა ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაცემულ რეკომენდაციებს დაწესებულება ითვალისწინებს. უნივერსიტეტის წარმომადგენელმა ვარდო ბერიძემ აღნიშნა, რომ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში ბსუ-ს მიერ მესამედ იქნა წარმოდგენილი „ფილოსოფიის"

საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა - 2007,2011 და 2022 წლებში. მისი თქმით, პროგრამის მიზანს წარმოადგენს ის, რომ ხელი შეუწყოს ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის სტრატეგიული განვითარების გეგმისა და უნივერსიტეტის მისიის განხორციელებას. პროგრამა მომზადებული იქნა სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესისა და აკრედიტაციის სახელმძღვანელოს ახალი მოთხოვნების შესაბამისად. მან აღნიშნა, რომ დაწესებულება აცნობიერებს და იღებს პასუხისმგებლობას გაითვალისწინოს და გაიაზროს „ფილოსოფიის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის მიმართ გამოთქმული რეკომენდაციები და რჩევები. უნივერსიტეტი იზიარებს ამ რეკომენდაციებსა და რჩევებს, რომლებიც ხელს შეუწყობს და კიდევ უფრო დახვეწილს გახდის რეკომენდაციით გათვალისწინებულ ქვე-პუნქტებს. დაწესებულების წარმომადგენელმა ლალი ზაქარაძემ აღნიშნა, რომ ექსპერტთა ჯგუფმა კვალიფიციურად და საქმიანად ითანამშრომლა უნივერსიტეტთან. პროცესი იყო პროდუქტიული. მისი თქმით, ეს პროგრამა აგებულია კონცეპტუალურად. არ არსებობს პროგრამა, რომელიც განვითარებაზე არ იყოს ორიენტირებული. პირველ რეკომენდაციასთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ დაწესებულებამ იხელმძღვანელა ფილოსოფიის ბაკალავრის კვალიფიკაციის აკადემიური ხარისხის მინიჭების სპეციფიკიდან გამომდინარე. ამ რეკომენდაციის არსებობა განაპირობა იმან, რომ ფილოსოფიას აქვს მდიდარი ისტორია, შესწავლის სიძნელე და თავისი ბუნება. არცერთ მეცნიერებაში ფილოსოფიის ისტორია ისე არ მოქმედებს თანამედროვე კონტექსტზე როგორც ფილოსოფიაში. მისი თქმით, ფილოსოფიაში არ მუშაობს სახელმძღვანელოების სტრუქტურა და პროგრამა ორიენტირებულია ფილოსოფიის ისტორიული კურსებისა და გამოჩენილი ფილოსოფოსების ტექსტების შესწავლაზე. მან ხაზი გაუსვა იმას, რომ „ფილოსოფიის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის შემადგენელი სალექციო კურსები სრულად ეხმიანება მოთხოვნებს. საბჭოს წევრმა ეკატერინე ნაცვლიშვილმა კითხვა დაუსვა ლალი ზაქარაძეს. მას აინტერესებდა, ითხოვს თუ არა ექსპერტთა ჯგუფი კურიკულუმის გადახედვასა და კურსების ლოგიკურად დალაგებას. ლალი ზაქარაძემ უპასუხა, რომ კურიკულუმის რუკაში სწავლის შედეგების რაოდენობის შემცირებაზე იყო საკითხი დასმული. შინაარსობრივ უზუსტობებსა და შეუსაბამობას დაწესებულება იზიარებს და სამომავლოდ გამოასწორებს.

ხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება

აწყების დრო: 19:24

ასრულების დრო: 19:31

საბჭოს თავჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა:

სსიპ- ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის „ფილოსოფიის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის მინიჭების საკითხი.

ენჭისყრის შედეგი:

მომხრე - 10

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება: „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის “ა” ქვეპუნქტისა, მე-3 და მე-4 პუნქტების, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 და მე-8 პუნქტების, აკრედიტაციის დებულების მუხლის პირველი პუნქტის, მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და მე-5 პუნქტის, 27 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ 6 ქვეპუნქტის, 33-ე მუხლის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ” სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის № 223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის "საკვები პროდუქტების გადამუშავებისა და სამაცივრო ტექნოლოგიის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭა აკრედიტაცია 7 წლის ვადით 1 წლის თავზე ანგარიშის წარმოდგენის პირობით.

სააკრედიტაციო განაცხადის, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე აკრედიტაციის მაძიებლის მიერ ცენტრისთვის წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიციის, ასევე, სხდომაზე დაინტერესებული მხარის ზეპირი პოზიციის მოსმენის საფუძველზე, საბჭომ სრულად გაიზიარა ექსპერტთა დასკვნაში ასახული რჩევები და რეკომენდაციები.

საბჭომ ექსპერტთა დასკვნაში ასახული რეკომენდაციები განსაზღვრა შემდეგნაირად:

რეკომენდაციები:

- რეკომენდებულია, კურიკულუმის რუკა პროგრამის აკადემიური გუნდის მიერ უფრო დეტალურად იქნას შესწავლილი, რაშიც მოიაზრება თითოეულ სწავლის შედეგზე გამსვლელი სავალდებულო სასწავლო კურსის დაზუსტება, მათი რაოდენობის შემცირება და შინაარსობრივი უზუსტობების აღმოფხვრა.
- რეკომენდებულია მკაცრად განისაზღვროს თითოეული კურსისთვის საკონტაქტო საათების რაოდენობა მათი სპეციფიკის გათვალისწინებით;
- რეკომენდებულია სასწავლო სილაბუსებში შეფასების კრიტერიუმი მორგებულ იქნას კურსის სპეციფიკასთან;
- რეკომენდებულია ფილოსოფიის საბაკალავრო პროგრამის ზოგიერთ სილაბუსში დაზუსტდეს ძირითადი და დამატებითი ლიტერატურის სია.
- რეკომენდებულია, ფაკულტეტისა და ცენტრალური ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურებმა მინიმუმამდე დაიყვანონ სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმებში არსებული ხარვეზები და ამ მიზნით, გააქტიურონ მუშაობა პროგრამის აკადემიურ გუნდთან ტრენინგებისა თუ სამუშაო შეხვედრების ფარგლებში.

რჩევები

- სასურველია არჩევითი კურსების შეთავაზება მომიჯნავე დისციპლინებიდან;
- სასურველია, მიღების წინაპირობებში მითითებული კანონებით, ბრძანებებითა და ნორმატიული აქტებით განსაზღვრული მოთხოვნები დაკონკრეტდეს და ნათლად გაიწეროს;
- სასურველია უნივერსიტეტმა გააძლიეროს მუშაობა სტუდენტების საერთაშორისო გაცვლით პროგრამებში მონაწილეობის მიზნით;
- სასურველია დაწესებულების მხრიდან პროფესორ-მასწავლებელთა დატვირთვა იყოს ადექვატური მათ სასწავლო და კვლევით საქმიანობასთან;
- სასურველია ერთიანი საუნივერსიტეტო ბიბლიოთეკის ბაზის შექმნა;
- სასურველია, პროგრამის შრომის ბაზრის მოთხოვნებთან შესაბამისობის, განვითარებისა და მაღალკვალიფიციური სპეციალისტების მომზადების მიზნით, სამომავლოდ ჩატარდეს სიღრმისეული კვლევა გამართული მეთოდოლოგიით.
- სასურველია, გარე შემფასებლის მიერ წარმოდგენილი დასკვნა წარმოადგენდეს პროგრამის, მისი შინაარსის, სტრუქტურისა და სწავლებისა თუ შეფასების მეთოდოლოგიის დეტალურ და სიღრმისეულ ანალიზს. ამავე მიზნით, სასურველია შემუშავდეს გარე შეფასების განხორციელების დეტალური მეთოდოლოგია.

5.მეხუთესაკითხი: სსიპ - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის „კომპიუტერული მეცნიერებების“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

№	ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	კომპიუტერული მეცნიერებები
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	აკრედიტებული 04.04.2022 მდე
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	2018 წლის 4 აპრილის #49 გადაწყვეტილება
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	კომპიუტერული მეცნიერებები
6	უმაღლესი განათლების საფეხური	დოქტორანტურა
7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე	8
9	კვალიფიკაციის დასახელება	ინფორმატიკის დოქტორი
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	0613 პროგრამული უზრუნველყოფისა და აპლიკაციების განვითარება და ანალიზი
12	სწავლების ენა	ქართული
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	60
14	განხორციელების ადგილი	ა. პოლიტკოვსკაიას N26, თბილისი, 0186,საქართველო მეორე სასწავლო კორპუსი.
15	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	-

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

√ არა

საბჭოსწევრ(ებ)ის თვითაცილება

√ კი

აცილება განაცხადა მაკა კაჭარავამ

აცილების საფუძველი: შრომითი ურთიერთობის არსებობა დაწესებულებასთან.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.

საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

მეხუთე საკითხის ზეპირი მოსმენა

ექსპერტების პოზიციის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.

ექსპერტთა ჯგუფის თავჯდომარე,მაქსიმ იავიჩი მიესალმა დამსწრე საზოგადოებას და აღნიშნა, რომ გაიცა 18 რეკომენდაცია და 4 რჩევა. მისი თქმით, სილაბუსებში („ფუნქციონალური დაპროგრამების სპეციალური საკითხები“, „ინფორმაციის გადაცემა და უსაფრთხოება“, „დაპროგრამების თეორია და მისი გამოყენებები“) წარმოდგენილი სწავლის შედეგები შესაბამისობაში უნდა მოვიდეს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2019 წლის 10 აპრილის N 69/ნ ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოსთან. მან აღნიშნა, რომ რეკომენდებულია ზუსტად განისაზღვროს გასაუბრების ფორმატი და კომპეტენციები დარგის შესაბამისად და მიეცეს მას სავალდებულო სახე. რეკომენდირებულია საგნის, ინფორმაციის გადაცემა და უსაფრთხოება, ძირითად საგანთა ნუსხაში გადატანა და სილაბუსებში გასწორდეს წინაპირობები. აგრეთვე, რეკომენდირებულია სასწავლო კურსის „ინფორმაციის გადაცემა და უსაფრთხოება“ შინაარსი შესაბამისობაში მოვიდეს სწავლების მესამე საფეხურის დონესთან. მისი თქმით, საგანი ინფორმაციის გადაცემა და უსაფრთხოება უნდა ისწავლებოდეს NIST სტანდარტით და სილაბუსებში განახლდეს ლიტერატურა. მან აღნიშნა, რომ დოქტორანტმა ერთი სამეცნიერო სტატია უნდა გამოაქვეყნოს გამოცემაში, რომელიც ინდექსირებული იქნება Scopus ან Web of science საერთაშორისო ბაზებში. რეკომენდირებულია განხორციელდეს შეფასების შედეგების ანალიზი და მისი გამოყენება სწავლების პროცესის გასაუმჯობესებლად. გარდა ამისა, რეკომენდირებულია სტუდენტებთან კომუნიკაციის გაუმჯობესება და ცვლილების შესახებ სტუდენტების წერილობითი სახით ინფორმირება. მაქსიმ იავიჩმა აღნიშნა, რომ რეკომენდირებულია სასწავლო კურსებით გათვალისწინებული სავალდებულო ლიტერატურის მინიმუმ ერთეულ ასლად არსებობა ბიბლიოთეკაში (არა პირატული ვერსიები). სასწავლო პროგრამის მიმართულების მიხედვით რელევანტური სამეცნიერო ბაზაზე წვდომის უფლების შეძენა უნდა იყოს ბიბლიოთეკაში, რომ დარგში არსებული სამეცნიერო პუბლიკაციები ხელმისაწვდომი იყოს სტუდენტებისთვის და აკადემიური პერსონალისთვის. მისი თქმით, რეკომენდირებულია ბიბლიოთეკა აქტიურად ჩაერთოს ტრენინგების (ინფორმაციის მოძიება; წყაროების სანდოობის შეფასება; აკადემიური სტილის საკითხები) მომზადების და შეთავაზების მიმართულებით, როგორც სტუდენტებთან, ასევე, აკადემიურ პერსონალთან. გარდა ამისა, შიდა ხარისხის უზრუნველყოფის ჯგუფმა აქტიურად უნდა აწარმოოს პროგრამის ვადების მონიტორინგი, შესაბამისი დოკუმენტაციის მომზადების კუთხით, რათა პროგრამაზე სწავლების უწყვეტობა იქნას შენარჩუნებული. მისი თქმით, რეკომენდირებულია ხარისხის უზრუნველყოფის ციკლის ბოლო ორი ეტაპის „შეამოწმე, განავითარე“ ეფექტურად განხორციელება, კერძოდ, აკადემიური პერსონალის გამოკითხვების/შეფასებების გათვალისწინებით შესაბამისი ინტერვენციების განხორციელება. მან აღნიშნა, რომ პროგრამის შეფასებისას, გარე ექსპერტის მოწვევის დროს უნდა გამოირიცხოს ინტერესთა კონფლიქტის არსებობის ალბათობა. პროგრამის განხორციელების ეტაპზე უნდა ხდებოდეს სტუდენტების მიერ კონკრეტული სასწავლო კურსების შეფასება ყოველ სემესტრში,

ასევე, პროგრამის შეფასება და აღნიშნული შედეგების გათვალისწინება. მან ხაზი გაუსვა იმას, რომ უნდა მოხდეს უცხოური ანალოგიების მოძებნა და პროგრამის დადარება.

საბჭოსთავმჯდომარემმიმართადაწესებულებისწარმომადგენლებსწარმოედგინათმოსაზრებები. დაწესებულების წარმომადგენელი რომეო გალდავა მიესალმა დამსწრე საზოგადოებას და მადლობა გადაუხადა ექსპერტთა ჯგუფს გაწეული შრომისთვის. მან აღნიშნა, რომ დაწესებულება იზიარებს ექსპერტთა მიერ გაცემულ რეკომენდაციებსა და რჩევებს. მისი თქმით, პროგრამაში იყო ტექნიკური ხარვეზები, რომლებიც დაკავშირებული იყო წინაპირობებთან. უნივერსიტეტმა მიიღო გადაწყვეტილება ინფორმაციის გადაცემისა და უსაფრთხოების სავალდებულო სასწავლო კურსებში გადატანასთან დაკავშირებით. მან აღნიშნა, რომ ინფორმაციის გადაცემა და უსაფრთხოება არჩევითია და მოხდება სავალდებულო კურსში გადატანა. მისი თქმით, გასაუბრება სავალდებულოა უცხო ენის გამოცდასთან ერთად. ლიტერატურა მუდმივად განახლებადია და უნივერსიტეტს აქვს ელექტრონული სახით, მაგრამ სამომავლოდ იქნება ახალი ლიტერატურა შეძენილი. რომეო გალდავამ სტატიების გამოცემასთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ დასკვნაში წარმოდგენილი იყო დოქტორანტურის მინიმალური სტანდარტი, რომელიც ზოგადია და წარმოადგენს საუნივერსიტეტოს. მისი თქმით, სტუდენტების ინფორმირება ხდება სტუდენტური ბაზით, მაგრამ თუ დადგება საჭიროება წერილობითი ფორმით ინფორმაციის მიწოდებისა დაწესებულება ამაზეც იმუშავებს.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ მოსაზრებები.
საბჭოს თავჯდომარემ გოდერძი ბუჩაშვილმა კითხვა დაუსვა დაწესებულებას. მას აინტერესებდა, პროგრამაზე დაშვების წინაპირობას მხოლოდ გასაუბრება წარმოადგენდა თუ არა. დაწესებულების წარმომადგენელმა რომეო გალდავამ უპასუხა, რომ გასაუბრებაზე ხდება კანდიდატის გამოკითხვა და თავისი მოსაზრების გაზიარება პროგრამასთან დაკავშირებით, კერძოდ რას ფიქრობს პროგრამაზე, რა მიმართულებით უნდა დისერტაციის დაცვა და ა.შ. კვლევის მონახაზის წინასწარი წარდგენა ამ ეტაპზე პროგრამის დაშვების წინაპირობას არ წარმოადგენს. მისი აზრით, დაშვების წინაპირობა შეიძლება გადავიდეს აპრობირებულ მოდელზე.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება
დაწყების დრო: 19:43
დასრულების დრო: 19:57
საბჭოს თავჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა:
სსიპ - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის „კომპიუტერული მეცნიერებების“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის მინიჭების საკითხი.
კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 12
წინააღმდეგი - 0
გადაწყვეტილება: „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის “ა” ქვეპუნქტისა, მე-3 და მე-4 პუნქტების, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 და მე-8 პუნქტების, აკრედიტაციის დებულების მუხლის პირველი პუნქტის, მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და მე-5 პუნქტის, 27 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ 6 ქვეპუნქტის, 33-ე მუხლის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ” სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის № 223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს

ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, სსიპ - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის „კომპიუტერული მეცნიერებების“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭა აკრედიტაცია კლასტერის ვადით 1 წლის თავზე ანგარიშის წარმოდგენის პირობით.

სააკრედიტაციო განაცხადის, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე აკრედიტაციის მაძიებლის მიერ ცენტრისთვის წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიციის, ასევე, სხდომაზე დაინტერესებული მხარის ზეპირი პოზიციის მოსმენის საფუძველზე, საბჭომ ნაწილობრივ გაიზიარა ექსპერტთა დასკვნაში ასახული რჩევები და რეკომენდაციები, კერძოდ 5.1 ქვეპუნქტი ნაცვლად „შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“ განსაზღვრა, როგორც „მეტწილად შესაბამისია მოთხოვნებთან“, რამაც გამოიწვია მთლიანი მეხუთე სტანდარტის ცვლილება და ნაცვლად „შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“ განსაზღვრა, როგორც „მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“.

საბჭომ ექსპერტთა დასკვნაში ასახული რეკომენდაციები განსაზღვრა შემდეგნაირად:

რეკომენდაციები:

- სილაბუსებში („ფუნქციონალური დაპროგრამების სპეციალური საკითხები“, „ინფორმაციის გადაცემა და უსაფრთხოება“, „დაპროგრამების თეორია და მისი გამოყენებები“) წარმოდგენილი სწავლის შედეგები შესაბამისობაში მოვიდეს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2019 წლის 10 აპრილის N 69/ნ ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოსთან.
- რეკომენდებულია ზუსტად განისაზღვროს გასაუბრების ფორმატი და კომპეტენციები დარგის შესაბამისად და მიეცეს მას სავალდებულო სახე.
- რეკომენდირებულია საგნის, ინფორმაციის გადაცემა და უსაფრთხოება, ძირითად საგნებში გადატანა.
- რეკომენდირებულია სილაბუსებში გასწორდეს წინაპირობები.
- რეკომენდირებულია საგნის, ინფორმაციის გადაცემა და უსაფრთხოება, სწავლების მესამე საფეხურის შესაბამისობაში მოყვანა.
- საგანი ინფორმაციის გადაცემა და უსაფრთხოება უნდა ისწავლებოდეს NIST სტანდარტით.

- რეკომენდებულია სილაბუსებში განახლდეს ლიტერატურა.
- რეკომენდირებულია დოქტორანტმა ერთი სამეცნიერო სტატია გამოაქვეყნოს გამოცემაში, რომელიც ინდექსირებულია Scopus ან Web of science საერთაშორისო ბაზებში.
- რეკომენდირებულია განხორციელდეს შეფასების შედეგების ანალიზი და მისი გამოყენება სწავლების პროცესის გასაუმჯობესებლად.

- რეკომენდირებულია სტუნტებთან კომუნიკაციის გაუმჯობესება და ცვლილების შესახებ სტუდენტების წერილობითი სახით ინფორმირება.
- რეკომენდირებულია სასწავლო კურსებით გათვალისწინებული სავალდებულო ლიტერატურის მინიმუმ ერთეულ ასლად არსებობა ბიბლიოთეკაში (არა პირატული ვერსიები);
- რეკომენდირებულია სასწავლო პროგრამის მიმართულების მიხედვით რელევანტური სამეცნიერო ბაზაზე წვდომის უფლების შეძენა, რომ დარგში არსებული სამეცნიერო პუბლიკაციები ხელმისაწვდომი იყოს სტუდენტებისთვის და აკადემიური პესონალისთვის;
- რეკომენდირებულია ბიბლიოთეკა აქტიურად ჩაერთოს ტრენინგების (ინფორმაციის მოძიება; წყაროების სანდოობის შეფასება; აკადემიური სტილის საკითხები) მომზადების

და შეთავაზების მიმართულებით, როგორც სტუდენტებთან, ასევე, აკადემიურ პერსონალთან.

- რეკომენდირებულია, შიდა ხარისხის უზრუნველყოფის ჯგუფმა აქტიურად აწარმოოს პროგრამის ვადების მონიტორინგი, შესაბამისი დოკუმენტაციის მომზადების კუთხით, რათა პროგრამაზე სწავლების უწყვეტობა იქნას შენარჩუნებული.
- რეკომენდირებულია ხარისხის უზრუნველყოფის ციკლის ბოლო ორი ეტაპის „შეამოწმე, განავითარე“ ეფექტურად განხორციელება, კერძოდ, აკადემიური პერსონალის გამოკითხვების/შეფასებების გათვალისინწინებით შესაბამისი ინტერვენციების განხორციელება.
- რეკომენდირებულია პროგრამის შეფასებისას, გარე ექსპერტის მოწვევის დროს გამოირიცხოს ინტერესთა კონფლიქტის არსებობის ალბათობა;

- რეკომენდირებულია პროგრამის განხორციელების ეტაპზე ხდებოდეს სტუდნეტბის მიერ კონკრეტული სასწავლო კურსების შეფასება ყოველ სემესტრში, ასევე, პროგრამის შეფასება და აღნშნული შედეგების გათვალისიწნება.
- რეკომენდირებულია უცხოური ანალოგიების მოძებნა და პროგრამის დადარება.

სხდომა დახურულად გამოცხადდა - 20:00 სთ-ზე.

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის
საბჭო
საბჭოს თავმჯდომარე
ბუჩაშვილი გოდერძი

საგანმანათლებლო პროგრამების
აკრედიტაციის საბჭო
საბჭოს მდივანი
ტეფნაძე დავით